# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 18 აგვისტო 2006 №190 (2812) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## ფოიერვერკი უეიფორიოდ

ალექსანდრე იაშვილს საქართველო მოეწონა

8



## დღეს ქართველები ფინალზე თამაშობენ

17-წლამდელებმა პალანგა მოგებით დაიწყეს

8



## ენდი მიურეიმ როჯერ ფედერერი დასცა

16

# Bანა-Aნა

## ქართული საკალათბურთო ჭეშმარიტება




ქართული კალათბურთი ანბანის უკულმა დატრიალებას ცდილობს და B-დან A-სკენ მიიწევს. ეს გზა პირველებმა ჩვენმა ახალგაზრდებმა განვლეს — პორტუგალიაში გამართული ევროსაკვალიფიკაციო ტურნირი რიხითა და ლაზათით მოიგეს და საგაისოდ ელიტარულ A დივიზიონში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ახლა იგივეს გაკეთებას კადეტები აპირებენ. ესტონეთში მიმდინარე B დივიზიონის შეჯიბრის მეორე ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩში ნიკო ჩერქეზიშვილის გუნდმა ქართველთა მუდმივი საკალათბურთო მეტოქე ფინეთი ბეჭებზე დასცა, ნახევარფინალში გააღწია და ახლა ელიტაში ასვლამდე ერთი მატჩის მოგებაღაა საჭირო — ჩვენმა ჭაბუკებმა პირველ ჯგუფურ ეტაპზე უკვე ძლეულ ავსტრიელებს ერთხელაც უნდა მოუგონ.

ახალგაზრდები; კადეტები და მერე მთავარი ნაკრების დროც დადგება — სექტემბერში გორდონ ჰერბერტი და მისი ქართული დუჟინი ერთხელაც ჩაებმებიან ევროსაკვალიფიკაციო ბრძოლებში და იმედია, — რაც ახალგაზრდებმა პორტუგალიაში გააკეთეს, და რაც კადეტებმა დღეს ესტონეთში უნდა შეძლონ, არც ჩვენი მთავარი საკალათბურთო გუნდისთვის იქნება გადაულახავი ბარიერი.

# კალჩომ ფოკუსი ვერ გაასწორა

## იუვენტუსის ოლიმპიური შანსი

დღეს „იუვენტუსი" პასუხს ელის. გუნდს, რომელიც კალჩოპოლის სკანდალში მთავარ დამნაშავედ აღიარეს და რომელსაც სერია B-ში, თანაც მინუს ჩვიდმეტი ქულით მიუსაჯეს თამაში, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისგან შეწყალების იმედი აქვს. საკითხის განხილვაში იტალიის ფეხბურთის ფედერაციაც აპირებს მონაწილეობას, ოღონდ ეს ორგანიზაცია გაორებული ჩანს. ერთი მხრივ, მას უნდა, რომ დამნაშავემ ზღოს ანუ ამნისტიის წინააღდეგია, მეორე მხრივ კი, არ უნდა, რომ „იუვენტუსმა" საქმე მორიგ ინსტანციაში გაასაჩივროს და სერია A-სა და სერია B-ს ჩემპიონატების დაწყება სათუო გახადოს. ჩანს, „ბებერი ქალბატონიც" სწორედ ამაზე თამაშობს. დღეს ტურინელთა პრეზიდენტ ჯოვანი კობოლი ჯილის სერია A-ში დაბრუნების იმედი აქვს, მინუს ქულების დატოვებაზე კი უარს არ ამბობს.




# ჟიული თავის საქმეში ვერნია

## თან გენერალური, თან სუპერ, თან ჩვეულებრივი: ბარსამ დაიწყო



AFP ბარსელონიდან

ესპანური სუპერთასი „ბარსელონას" ლუდოვიკ ჟიულის ერთმა გოლმა არგუნა



გოლი, მოპოვებული პენალტი, დაფარული პასები და მთელი მატჩი დაუღალელი მუშაობა — ასეთი იყო ალექსანდრე იაშვილი ტოფტირში, სადაც საქართველოს ნაკრებმა გუშინწინ გამოანათა.
ბოლო ორი წელია, „აკუნა“ კლუბშიც და ნაკრებშიც უკანდაწეულ ფორვარდად თამაშობს და ფარერული კონცერტის ერთ-ერთი სოლისტი ნაღდად ის იყო...



# ფოიერვერკი უეიფორიოდ

## ალექსანდრე იაშვილს საქართველო მოეწონა

— ახლა იოლია იმის თქმა, რომ ფარერელები სუსტები არიან, მაგრამ ჩვენ ძლიერად ჩავატარეთ შეხვედრა, კონცენტრაცია არ დაგვიკარგავს და ჩვენივე თამაში გვსიამოვნებდა.

**— ასეთი ანგარიშით ფარერებზე გრანდებიც ვერ იგებენ. თამაშამდე გრძნობდით, რომ ასე ადვილად ჩაივლიდა ყველაფერი?**

— ამ მატჩის ვერმოგებაზე არც გვიფიქრია. არადა, ფარერებზე თვით გერმანიის ნაკრებმა ბოლო წუთზე გატანილი გოლით მოიგო, საფრანგეთსაც გაუჭირდა. თამაშის შემდეგ გამოჩნდა, რომ იოლად მოვიგეთ, თუმცა დასაწყისში გატანილი გოლები დიდად დაგვეხმარა. მერე კი ლაღად ავთამაშდით...

**— კლაუს ტოპმიოლერმა რა დარიგება მოგცათ მატჩის წინ?**

— ფსიქოლოგიურ განწყობას რომ თავი გავანებოთ, პირველ რიგში, გუნდური თამაში დაგვავალა. ბევრი უნდა გვემოძრავა და სივრცეები შეგვექმნა. გოლს თუ არ გავუშვებდით, გაცილებით გაგვიადვილდებოდა თამაში და ასეც მოხდა.

**— 6:0 მოგების შემდეგ ზედმეტი კია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ისე ჩანდა, რომ მსაჯმა ორი ნაღდი პენალტი არ დანიშნა მასპინძელთა კარში...**

— დემეტრაძეც და არველაძეც აშკარად წააქციეს. ასპროცენტიანი პენალტები იყო, მაგრამ მსაჯმა, ეტყობა, ანგარიშიც გაითვალისწინა, თანაც ერთი პენალტი უკვე დანიშნული ჰქონდა...

**— ანგარიშში ამხელა სხვაობის მიუხედავად, მაინც უტევდით და ტემპი არ შეგინელებიათ. ადრე ეს თვისება ძალიან აკლდა საქართველოს ნაკრებს...**

— ვინ იცის, ჯგუფში ისე წავიდეს საქმე, რომ ბურთების შეფარდებას ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა. ეგეც არ იყოს, როცა თამაშში ჩაფლული ხარ, გინდა, რაც შეიძლება, მეტი ბურთი შეაგდო. მით უმეტეს, როცა მეტოქე საშუალებას გაძლევს.

**— საქართველოს ნაკრებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა და ამან დაღი დააჩნია თამაშს?**

— კონკრეტულად ფარერებთან დიდად არ დაგვეტყობია. ერთ თამაშში შედარებით იოლი გადასატანია ფეხბურთელების არყოფნა, მაგრამ თუ სისტემატურად შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებ, მაშინ ძალიან გაგიჭირდება. ძალიან მინდა, რომ კალაძემ, ხიზანიშვილმა, ხიზანეიშვილმა და ცქიტიშვილმა საფრანგეთთან თამაში შეძლონ.

**— ტოპმიოლერმა რა გითხრათ თამაშის შემდეგ — ალბათ, შენიშვნებიც ექნებოდა...**

— მწვრთნელი მოგებით გახარებული იყო, მაგრამ უკმაყოფილოც დარჩა და საბაბიც ჰქონდა: უწყინარ სიტუაციებში ხშირად ვკარგავდით ბურთს.

**— ხომ წარმოგიდგენია, რა აჟიოტაჟი იქნება 2 სექტემბერს. მთელი საქართველო ფრანგებთან მატჩს ელის და შენ რას ეტყოდი მათ?**

— ჯერ ვერაფერს. ცხადია, ფრანგებთან უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გველის, მაგრამ მანამდე კლუბებს უნდა მივუბრუნდეთ. 2 სექტემბრამდე ორი თამაში მაქვს „ფრაიბურგში“ და ჯერ ამაზე ვფიქრობ. თუ ამ მატჩებში ჯანზე და ფორმაში ვიქნები, საფრანგეთსაც უფრო მომზადებული შევხვდები.

**— ოთარ ხიზანეიშვილის ამბავი როგორაა?**

— უკვე დაიწყო გუნდთან ერთად ვარჯიში და წესით, 2 სექტემბრისთვის მწყობრში უნდა იყოს.

**— „ფრაიბურგზეც“ ვთქვათ: მეორე ბუნდესლიგის პირველ ტურში შინ როსტოკის „ჰანზასთან“ 0:0 ითამაშეთ — მეტოქე იყო ძლიერი თუ თქვენ ვერ ითამაშეთ კარგად?**

— არა, პირწმინდად ვაჯობეთ „ჰანზას“ — ხუთჯერ მოვარტყით ბურთი ძელს, ამ დროს კი სტუმრებს საერთოდ არ ჰქონიათ საგოლე მომენტი. წინა სეზონთან შედარებით „ფრაიბურგი“ ახლა უფრო ძლიერია და ბუნდესლიგაში გადასვლის მთავარ ფავორიტადაც ითვლება.

**ილია ნანობაშვილი**



# დღეს ქართველები ფინალზე თამაშობენ

**საქართველოს** 17-წლამდელთა ნაკრებმა წარმატებულად დაიწყო პალანგის საერთაშორისო ტურნირი — ჰერბერტ ცანკერის ბიჭებმა გუშინ პოლონეთს 3:1 ძლიეს და პირველი ტურის შემდეგ ჯგუფში გალიდერდნენ.

ქართველმა 17-წლამდელები დღეს აზერბაიჯანთან 1:0 მომგებ ბელარუსს შეხვდებიან და მოგების შემთხვევაში, ფინალში თამაშს დაიბევებენ.

პოლონელებთან ცანკერმა ასეთი სასტარტო თერთმეტეული ათამაშა: *მაკარიძე, მინდორაშვილი, გეთიაშვილი, სორდია, კალანდია, მამუჩიშვილი, თარხნიშვილი, კვარაცხელია, ხოკერაშვილი, ყენია, სალარიძე.*

გოლები კი ხოკერაშვილმა, ყენიამ და მამუჩიშვილმა გაიტანეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ემზადება, რომელიც თბილისში გაიმართება და ჩვენების მეტოქეები გერმანია, რუსეთი და მაკედონია იქნებიან.

**ქახა შალამბერიძე**

# სამი და მეტი

**საქართველომ** ფარერის კუნძულებს 6:0 რომ მოუგო, ეს დიდი ანგარიშით ჩვენი მეათე გამარჯვება იყო. დიდ ანგარიშში, ბუნებრივია, სამი და უფრო მეტი ბურთის სხვაობით ძლევა იგულისხმება და პირველად ეს ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა თოთხმეტი წლის წინ შეძლო — მაშინ გუნდს გიგა ნორაკიძე ხელმძღვანელობდა.

ათიდან ოთხჯერ საქართველომ დიდი ანგარიშით გამარჯვება ამხანაგურ მატჩებში მოახერხა, სამჯერ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში, ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე და ერთხელ საერთაშორისო ტურნირში.

ყველაზე დიდი ანგარიშით საქართველომ სომხეთის ნაკრებს მოუგო — 7:0.

ნაკრებში ორი ჰეთ თრიქი იყო, ორივე შოთა არველაძისაა და მან ორივე დიდი ანგარიშით გამარჯვებებისას შეასრულა.

სამ-სამჯერ საქართველოს ნაკრებმა დიდი ანგარიშით ალექსანდრე ჩივაძის და დავით ყიფიანის მთავარმწვრთნელობისას გაიმარჯვა, თითოჯერ ნორაკიძის, მერაბ ჟორდანიას, ვლადიმერ გუცაევის და კლაუს ტოპმიოლერის ხელში.

საქართველოს ნაკრებს დიდი ანგარიშით არ გაუმარჯვია იოჰან ბოსკამპის და ალენ ჟირესის მწვრთნელობისას. ტოპმიოლერი კი პირველი უცხოელი მწვრთნელია, საქართველოს ნაკრებს დიდი ანგარიშით რომ მოაგებინა.

ალბანეთის ნაკრები ერთადერთია, რომელსაც საქართველოს ნაკრებმა ორჯერ მოუგო დიდი ანგარიშით.

და რომელი იყო ყველაზე გემრიელი დიდანგარიშიანი გამარჯვება? სუბიექტურები ალბათ არ ვიქნებით, თუ ასეთად უელსელთა 5:0 დაჯაბვნას მივიჩნევთ.

**დავით თავართქილაძე**


ორი ქართული ჰეთ თრიქის ავტორი შოთა არველაძე

**17.09.92**
ამხანაგური მატჩი
**საქართველო 6:3 აზერბაიჯანი**
ყიზილაშვილი (2), გ. დარასელია, შ. არველაძე, გოგიჩაიშვილი, გ. ჯიშკარიანი
მწვრთნელი: გიგა ნორაკიძე

**16.11.94**
ევროშესარჩევი
**საქართველო 5:0 უელსი**
ქეცბაია (2), ქინქლაძე, შ. არველაძე, გოგრიჭიანი
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

**30.03.97**
ამხანაგური მატჩი
**საქართველო 7:0 სომხეთი**
შ. არველაძე (3), ა. არველაძე (2), ქინქლაძე, ყაველაშვილი
მწვრთნელი: დავით ყიფიანი

**11.10.97**
მსოფლიოს შესარჩევი
**საქართველო 3:0 პოლონეთი**
ა. არველაძე, ცხადაძე, ქეცბაია
მწვრთნელი: დავით ყიფიანი

**08.02.98**
საერთაშორისო ტურნირი
**საქართველო 3:0 ალბანეთი**
ქეცბაია, ყაველაშვილი, იაშვილი
მწვრთნელი: ვლადიმერ გუცაევი

**07.10.00**
მსოფლიოს შესარჩევი
**ლიტვა 0:4 საქართველო**
ქეცბაია (2), ქინქლაძე, ა. არველაძე
მწვრთნელი: დავით ყიფიანი

**15.07.01**
ამხანაგური მატჩი
**ლუქსემბურგი 0:3 საქართველო**
დემეტრაძე (2), ალექსიძე;
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

**27.03.02**
ამხანაგური მატჩი
**საქართველო 4:1 სამხრეთ აფრიკა**
დემეტრაძე (2), კობიაშვილი, ალექსიძე
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

**06.09.03**
ევროშესარჩევი
**საქართველო 3:0 ალბანეთი**
შ. არველაძე (2), აშვეთია
მწვრთნელი: მერაბ ჟორდანია

**16.08.06**
ევროშესარჩევი
**ფარერები 0:6 საქართველო**
მუჯირი, იაშვილი, არველაძე, კობიაშვილი, არველაძე (3);
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

## შვეიცარია
ჩელენჯლიგა
**იუვენტუსი 0:2 კონკორდია**

## ესპანეთი
სუპერთასი
**ესპანიოლი 0:1 ბარსელონა**

## ამხანაგური მატჩები
ვენესუელა 0:0 ჰონდურასი
ჩილე 1:2 კოლუმბია
პერუ 0:2 პანამა

# geo_geo_fan@hotmail.com



ასეთი ამბები იყო თამაშისას რესპუბლიკის მოედანზე



სფფ-ის პრესსამსახური

## ვინ გვახარებს?

# ერთი, სიმპათიური, ფეხბურთის მცოდნე და ძალიან მაგარი კაცი!

ფარერები დავამარცხეთ. ისე, ამას დამარცხება კი არა, განადგურება-გადავლა ჰქვია. ოღონდაც, ნუ დავივიწყებთ, რომ ფარერები დავამარცხეთ და არა საფრანგეთი ან რომელიმე მისთანა ბობოლა. მოკლედ, მე-5 წუთზე ჩვენს კართან შექმნილ მომენტს და მეორე ტაიმში ისევ ჩვენს კართან მიჯრით ჩაწოდებულ კუთხურებს (რამდენიმე წუთი ბურთი საჯარიმოდან რომ ვერ ამოვიტანეთ) თუ დავივიწყებთ, ყველანი კმაყოფილები უნდა ვიყოთ.

ერთი ფიქრი კი მოსვენებას მაინც არ მაძლევს. თამაშის წინა დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე შევედი და გამოკითხვაში მივიღე მონაწილეობა. ვებგვერდის დამთვალიერებლებს ფარერები — საქართველოს მატჩის შედეგი უნდა ევარაუდათ. ჰოდა, ასეთი რამ აღმოვაჩინე: ინტერაქტიულ გამოკითხვაში მონაწილეთა ოცმა პროცენტმა თქვა, რომ მატჩს ფარერები მოიგებდა.

ვიმეორებ: ყოველმა მეხუთე გამოკითხულმა ქართველმა იწინასწარმეტყველა, რომ საქართველო ფარერებთან დამარცხდებოდა!

ჩემი ღრმა რწმენით, იმ 20 პროცენტის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, უბრალოდ, გაიმასხრა, როცა ვებგვერდის გრაფაში საქართველოს წაგება „დაკლიკა". თორემ ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ უნდა სჯეროდეს ყველა მეხუთე ქართველს, რომ საქართველოს ფარერების დამარცხებაც არ შეუძლია.

დიახ, ეს მასხრობა მგონია, მაგრამ იმასაც მოგახსენებთ, რომ ეს ცუდი მასხრობაა. ამ მასხრობით იმ ოცი პროცენტის უმრავლესობა მიგვანიშნებს, რომ მაინცდამაინც არ აღარდებს საქართველოს ნაკრების მოგება-წაგებები. და თუ ის ოცი პროცენტი თვლის რომ ვცდები, აგერ ჩვენი რუბრიკა — მოიწერეთ, რატომ თვლიდით, რომ საქართველო ფარერებზე დამარცხდებოდა.

შესავალი გამიგრძელდა, ახლა კი თქვენი წერილები...

**KAKICH**: გაუმარჯოს „სარბიელს"! მომილოცავს პირველი გამარჯვება ამ შესარჩევში და ახლა ძალიან მაინტერესებს იმ ხალხის სახეების ნახვა, ვინც ბერძნებთან თამაშში არაკაცურად მოექცა შოთა არველაძეს. დარწმუნებული ვარ, დღეს იმ ბრბოს ძალიან დიდი ნაწილი ფან-კლუბის წევრია და მაგათი დიდი ნაწილი ერთ ადგილს იხევს „ჩვენ ერთი გუნდი ვართ"-ის ძახილში.

ჩვენ, ნაღდი გულშემატკივრები, ყოველთვის ერთი გუნდი ვიყავით ჭირშიც და ლხინშიც და მინდა, ბრბოს ვუთხრა, რომ მარტო მოგებულების გულშემატკივრობა არ ნიშნავს საყვარელი გუნდის სიყვარულს. რაც შეეხება თამაშს, მოდი, ამაზე არაფერს ვიტყვი. თამაშის კომენტარი ბატონი კლაუსისთვის მიმინდვია.

**ZIZI_TOP**: სალამი! ამ გამარჯვებას ვულოცავ ქართულ სპორტულ პრესას და მთელ საქართველოს. დიახ, სპორტულ პრესას და განსაკუთრებით თქვენ, სარბიელელებო. თქვენ რომ არ ყოფილიყავით, დღეს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ყველა დროის საუკეთესო თეორეტიკოს-ტაქტიკოსი, ბატონი გაიოზ დარსაძე იქნებოდა. გმადლობთ, რომ თქვენ ეს „ბედნიერება" აგვაცილეთ. დიახ, გუშინდელი 6:0 თქვენი გამარჯვებაცაა. ძალიან გთხოვთ, ეს წერილი დაბეჭდოთ. რადგან თქვენ ყოველთვის იქ ურტყამთ ხოლმე, სადაც დასარტყმელია...

და მადლობა ფედერაციასაც, რომ პრესას და ხალხს დაუჯერა და ჩამოგვიყვანა ერთი, სიმპათიური, ფეხბურთის მცოდნე და ძალიან მაგარი კაცი — ტოპი!

ველოდებით 2 სექტემბერს, ამის არ გვრცხვენია და თქვენ იცით, ეს რას ნიშნავს?!

საქართველოს გაუმარჯოს! მგონი ვიღვიძებთ!

**AILAT2006**: „სარბიელს" გაუმარჯოს. პირველ რიგში, გილოცავთ ჩვენების უბრწყინვალეს გამარჯვებას. ახლა, რა თქმა უნდა, ზოგზოგები შეეცდებიან ამ წარმატების განულებას, ფარერები გრანდი არ არისო, იქ პროფესიონალური კლუბები არ ჰყავთო და ეგეთები... სალაპარაკოს სულ მონახავენ. ისე, ყველაზე ჭკვიანურია, ასეთები საერთოდ არ შეამჩნიო. ასე ჯობია, რადგან ცხოვრებაში ხელმოცარულ ხალხსაც ეგ უნდა, რომ იქნებ რაიმეთი ყურადღება მიიქციონ, თუნდაც საკუთარ ქვეყანასთან და მის სახესთან, ნაციონალურ ნაკრებთან ქიშპით. უბრალოდ, მინდა ყველას შევახსენო, რომ ფარერებთან თამაში ბევრ კარგ ნაკრებს მართლაც უჭირს და ამ ეგრეთ წოდებულ ლილიპუტებში ერთ-ერთი ძლიერი გუნდია. ამას ემატება ფარერებში წასვლასთან დაკავშირებული სიძნელეები. ფარერები სახლში საკმარისად ძნელად გასატეხი კაკალია და იქ 6:0-ს ვერ იგებენ სხვა ევროპელები. ამით იმას არ ვიძახი, რომ მორჩა, ჩვენ უკვე პოტენციული ევროპის ჩემპიონები ვართ-მეთქი.

გეხვევით მთელ „სარბიელს", ჯიგრები ხართ. თქვენი მკითხველი ვარ უკვე 15 წელი.

**BOBAH_GEORGIAN**: სალამი „სარბიელს". პირველ რიგში, თქვენი გაზეთის მეშვეობით, მინდა, მივულოცო სრულიად საქართველოს ეს გამარჯვება — ყველაზე დიდი ანგარიშით გასვლითი და საერთოდ ოფიციალური შეხვედრის მოგება. ამაზე კარგ დასაწყისს, უბრალოდ, ვერ ინატრებდა კაცი. მაგრამ ეიფორიას არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივეცეთ. გუშინდელმა შეხვედრამ იმდენი პრობლემა დაგვანახა, არც კი ვიცი, საიდან დავიწყო.

ერთ-ერთი საუკეთესო მოედანზე იყვნენ ჩვენი „რუსი" ლეგიონერები. ჰოდა, სალუქვაძის რეზერვში დატოვებამ, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა, მაგრამ ეგ არაფერი...

ასათიანმა დაამტკიცა, რომ დაცვის ცენტრში საერთოდ ბადალი არ ჰყავს (დღესდღეობით). ჩემი აზრით, საბოლოოდ გაეცა პასუხი იმ კითხვას, თუ ვინ უნდა იყოს ჩვენი ნაკრების დაცვის ბურჯი. კახა კალაძეს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ კარგა ხანია (ვაღიაროთ), ის ნაკრებში ვერ ბრწყინავს. და მგონი, საფრანგეთთან თამაშში მისთვის ჩვეულ მარცხენა ფლანგზე დაყენება კარგი იქნება. იმედია, ბატონი კლაუსი ამას ხვდება. და საერთოდ, ხვდება იმას, რომ რაოდენ დიდი პრობლემებია ჩვენს დაცვაში. ეს, უბრალოდ, კატასტროფაა. გუშინ მე-5 წუთზე რომ გაეტანა იაკობსენს, სულ სხვა თამაში წავიდოდა. მეთევზეები დაცვაში ჩაიკეტებოდნენ და არავინ იცის, რა შედეგით დამთავრდებოდა თამაში.

მოკლედ, დაცვა დღემდე დალაგებული არაა და ცალსახაა, რომ კალაძის, ხიზანიშვილის და ხიზანეიშვილის არყოფნა კატასტროფის მომასწავებელია ჩვენთვის, მაგრამ ისინიც რომ არიან მოედანზე, პრობლემები მაშინაც თავზესაყრელად რომ გვაქვს?!

კი, გუშინ ნამდვილად ისტორიული გამარჯვება ვიზეიმეთ, მაგრამ უმეტესწილად ცალკეულ მოთამაშეთა ინდივიდუალური ოსტატობის და მოწინააღმდეგის უხეში შეცდომების გამო მოვიგეთ. მეთევზეთა გუშინდელი თამაშის შემხედვარემ ვერაფრით გავიგე, რატომ გაუჭირდა მათთან საფრანგეთს თუ შვეიცარიას და როგორ დაკარგა ქულები (თანაც ორჯერ) შოტლანდიამ. მაგრამ ფარერები ჩავლილი ამბავია, წინ კი საფრანგეთია. და ასეთი თამაშით, მაპატიეთ, მაგრამ უშანსოდ ვართ.

კი, მეთევზეთა ფონზე ძალიან მაგრები ვართ, მაგრამ თვალწინ არცთუ ისე დიდი ხნის გერმანიაში ცოცხლად ნანახი საფრანგეთის და იტალიის თამაშები მედგა. არა, ასეთი თამაშით მათთან იოტისოდენა შანსიც არ გვაქვს. დრო კი არ არის.

ბატონი კლაუსის ადგილას, 2 სექტემბერს სუპერ დაცვით ვარიანტს ავირჩევდი. აი, მაგალითისთვის ისეთს, რამდენიმე წლის წინ ისლანდიამ გერმანიას შინ რომ შესთავაზა და კინაღამ იხეირა. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ასე ვფიქრობ.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და, დიდი მადლობა გადავუხადო შოთა არველაძეს. ის კარიერის დასასრულს, უბრალოდ, სასწაულებს ჩადის და ამის არდანახვა და ართქმა არ შეიძლება. შოთამ ისე მოუმატა, რომ როგორც „იუვეს" ფანი, მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით, თვით ტრეზეგეს არაფრით ჩამოუვარდება.

დიდი მადლობა ასათიანს და მუჯირს! აი, სხვებმა კი უნდა მოუმატონ.

წინ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებთან თამაშია. ბიჭებო, ყველაფერი უნდა დაივიწყოთ და 2 სექტემბერს განახლებულ „ეროვნულზე", უბრალოდ, თავი უნდა დადოთ. ფრანგებს თბილისი, როგორც მეორე ვატერლოო, უნდა დავამახსოვროთ. ჩვენ კი, რაც უნდა მოხდეს, ნაკრების გვერდით უნდა ვიყოთ ბოლომდე.

იმედია, ტოპი ხედავს და ხვდება ყველაფერს...

ჩვენ ერთი გუნდი ვართ!!!

**WEB-ოსტატი ბუარა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

# რაიმონ დომენეკს მშიერი მოსწონს

### ბოსნია 1:2 საფრანგეთი

1:0 ბარბარესი (16), 1:1 გალასი (40), 1:2 ფაბერი (90)

**საფრანგეთი:** კუპე, აბიდალი, ბუმსონგი (გივე 61), გალასი, სანიოლი, მალუდა (ვილტორდი 53), მაკუბა, ვიეირა, რიბერი (ფაბერი 70), ანრი, საა.

**პოსტზიდანური** ერა საფრანგეთმა მოგებით დაიწყო. გადამწყვეტი გოლი ჟულიენ ფაბერმა გაიტანა, ვისაც ზიდანის ათნომრიანი მაისურა ეცვა. 23 წლის ფაბერი „ბორდოში“ თამაშობს, იქ, სადაც ერთი ხანობა ზიდანიც ბურთაობდა.

პირველი ტაიმი თვალსასეირო და საინტერესო გამოდგა, იყო ბევრი შეტევა და ლიბერალური მსაჯობა. ბოსნიელთა კაპიტანმა სერგი ბარბარესმა პირველმა მოძებნა ღრიჭო — საშუალო დისტანციიდან გაუტანა გრეგორი კუპეს.

ფრანგები ორი ფორვარდი თამაშობდნენ, თუმც ლუი საა უფრო წინ იყო წაწეული, ვიდრე ტიერი ანრი. საა ძალიან აქტიური იყო, მაგრამ დაგვირგვინება არ უვარგოდა — სამი საგოლე მომენტი გააცუდა — ორჯერ ბოსნიელმა მეკარემ აჯობა, ერთხელ კი სიზუსტემ დაალალატა.

გამთანაბრებელი გოლი საკუთარ 29-ე დაბადების დღეს უილიამ გალასმა ანრის პასით გაიტანა.

ნამატჩევს ფრანგთა დამრიგებელი რაიმონ დომენეკი დიდად კმაყოფილი გახლდათ:

— დღეს კარგად ორგანიზებული გუნდი ვნახე, რომელიც დამშეული იყო მოსაგებად...

...ბრწყინვალეა, ასეთი თავდაჯერებით რომ მოვიგეთ...

...კმაყოფილი ვარ ახალი ფეხბურთელების და იმათიც, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშობდნენ.

დავძენთ, რომ ფრანგთა თამაში უნაკლო სულაც არ ყოფილა, გაშვებული გოლის გარდა მათი დაცვა კიდევ რამდენჯერმე ჩაფლავდა.

**ნიკა ჯორჯაძე**

# ეს არ არის კატასტროფა

## ლიპიმაც ასე დაიწყო

### იტალია 0:2 ხორვატია

0:1 სილვა (27), 0:2 მოდრიჩი (42)

**იტალია:** ამელია, ძენონი, ტერლიცი, ფალკონე, კიელინი, დელ ვეკიო (დი ნატალე 85), ლივერანი (პალომბო 57), ამბროზინი (გობი 75), როკი (დი მიკელე 57), ლუკარელი (კარაჩოლო 65), ესპოზიტო (სემიოლი 46).

**„სკუადრა აძურას“** ახალმა მთავარმა მწვრთნელმა მარცხიანი დებიუტი მოიწყო, მაგრამ იტალია თავს იმშვიდებს — რობერტო დონადონის დარად მარჩელო ლიპის სამწვრთნელო დებიუტიც წარუმატებელი გამოდგა ნაკრებში — 0:2 ისლანდიასთან.

დონადონის გერმანია 2006-ში მონაწილე ფეხბურთელები საამმატჩოდ არ გამოუძახებია. იტალიის ნაკრებში შვიდი დებიუტანტი იყო, აქედან სასტარტოში ოთხმა ითამაშა — ტომაზო როკიმ, ჯენარო დელ ვეკიომ, კრისტიან ტერლიციმ და ჯულიო ფალკონემ.

დონადონიმ კლაუს ტოპმიოლერივით 4-3-3 სისტემა აირჩია. პირველი საგოლე მომენტი იტალიელებმა შექმნეს — კრისტიანო ლუკარელიმ ვერ ივარგა. შემდეგ როკიმ და დელ ვეკიომაც სცადეს გატანა, მაგრამ დარტყმები გაუცუდდათ. მასპინძელთა ასეთი ტალღის მერე თამაში თანდათან გათანაბრდა. ხორვატთა ნატურალიზებულმა ბრაზილიელმა სილვამ კი საჰაერო ბრძოლაში იტალიელთა ორ ცენტრალურ მცველს აჯობა და ისე გაიტანა.

იტალია პასუხისთვის გაიქაჩა, მაგრამ მის შეტევებს ჯანიც აკლდა და ჭკუაც და, როცა მოდრიჩმა ერთხელაც დაამწუხრა აპენინელები, ხელის გულზე დადებულივით გამოჩნდა, რომ იტალია თამაშის შემობრუნებული აღარ იყო.

იტალიელებს ჰქონდათ რამდენიმე სახიფათო მომენტი, თუმც მოდრიჩსაც შეეძლო კიდევ გატანა — მის ჩახვეულ ბურთს ამელიამ წაატანა თითები და „სკუადრა ატურა“, რომელსაც მასიმო ამბროზინი კაპიტნობდა, დიდი ანგარიშით მარცხისგან იხსნა.

*რობერტო დონადონი:* „ვიცოდით, რომ ამ დროისთვის ხორვატები ჩვენზე უკეთეს ფორმაში იყვნენ. ისინი ძალიან სწრაფები არიან და მათთან მარცხი გასაკვირი არ უნდა იყოს. წაგება არავის უხარია, მაგრამ გარემოებათა გამო, ეს არ არის კატასტროფა.“

**ნიკა ჯორჯაძე**

### მოლდოვა 3:2 ლიტვა

0:1 პოშკუსი (14), 1:1 დადუ (15პ), 1:2 დანილევიჩიუსი (38), 2:2 ეპურეანუ (56), 3:2 კლეშჩენკო (87პ)

**ლიტვა:** კარჩემარსკასი, სტანკევიჩიუსი, ჯიაუკშტასი, პაულაუსკასი (პრეიკსაიტისი 18), შკერლა, ჟვირგჟდაუსკასი, სავენასი (ზელმიკასი 85), გედგაუდასი (რაძინევიჩიუსი 70), დანილევიჩიუსი (ბენიუსისი 80), პოშკუსი (ლუკსისი 74), მორინასი (კავალიუსკასი 62).

წლევანდელ ევროსარბიელს ოდენ ერთი ქართული გუნდი შემორჩა — უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში თბილისის „ამერი“ ბერლინში „ჰერტასთან“ 0:1 დამარცხდა და საპასუხო მატჩი 24 აგვისტოს აქვს. „ამერის“ მთავარ მწვრთნელ **გიორგი ჩიხრაძეს** ჯერ „ჰერტასთან“ დაპირისპირებაზე ვესაუბრეთ და მერე სხვა თემებსაც გადავწვდით...



# ჰერტასთან საჭიროა რაციონალიზმი

## ატმოსფეროს ძალა ეროვნული ნაკრებისთვის

**— ბერლინში დაცვითი ტაქტიკით ითამაშეთ?**

— აქცენტი გოლის არგაშვებაზე გვქონდა, მანამდე „ჰერტას“ ორი თამაში ვნახე და შევამჩნიე, რომ კონტრშეტევაზე შესაძლებელი იყო მეტოქის გამოჭერა, თუმც ეს ვერ მოვახერხეთ, მწვავედ ვერ შევუტიეთ, მეტოქის იერიშებს კი ჩვენს ნახევარზე ვხვდებოდით.

**— ყველანაირად შეეცადეთ, რომ „ჰერტას“ სწრაფი თამაშის საშუალება არ მისცეთ — ასეთი იყო მთავარი დავალება ფეხბურთელებისთვის?**

— ეგრე იყო. „ჰერტას“ საკმაოდ კვალიფიციური და სწრაფი ფეხბურთელები ჰყავს, რომელთაც დაცვიდან შეტევაში სწრაფად გადასვლა კარგად ეხერხებათ. ეს კომპონენტი „ჰერტას“ კოზირია და შევეცადეთ, მისთვის ამის გამოყენების საშუალება არ მიგვეცა.

**— „ჰერტა“ თქვენი მოედნის ნახევრიდან იწყებდა შეტევას და სისწრაფეს ვეღარ უმატებდა?**

— დიახ. ჩვენ ორჯერ შევედით „ჰერტას“ საჯარიმოში, მაგრამ წარმატებას მაინც ვერ მივაღწიეთ, „ჰერტამ“ კი ვერც ასეთ დროს მოახერხა სწრაფი იერიშის განხორციელება, რადგან ჩვენი ფეხბურთელები შეტევიდან დაცვაში სწრაფად ბრუნდებოდნენ, რაც მენტალიტეტის შეცვლაზე მიუთითებს — საქართველოს ჩემპიონატში ხომ ფეხბურთელები შეტევიდან დაცვაში ნელა ბრუნდებიან.

**— კედელი, ბურთის სწრაფი გათამაშება — ასეთებს „ჰერტა“ არ მიმართავდა?**

— იყო ამის მცდელობაც, მაგრამ ჩვენ მათ სივრცე შევუზღუდეთ, მჭიდროდ ვეთამაშეთ და ურთიერთდაზღვევაც იყო.

**— „ჰერტადან“ რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევდით?**

— პანტელიჩმა საკმაოდ ბევრი იმოძრავა და დაძაბულობას ქმნიდა, მეორე ტაიმში შემოსული ებერტიც ამწვავებდა თამაშს, აქტიური იყო ნოინდორფიც.

**— არნე ფრიდრიხმა და ილდირაი ბაშთურქმა რა შთაბეჭდილება დატოვეს?**

— მათი თამაში ეფექტური არ იყო.

**— თავდასხმაში ერთი ფორვარდი, სულიკო დავითაშვილი გაამწესეთ და, როგორც მატჩის მხილველები ამბობენ, ის საკმაოდ ნორმალურად გაისარჯა, თუმცა თქვენს განკარგულებაში რატი წინამძღვრიშვილიც იყო, რომელიც მატჩის ბოლოს შეუშვით მოედანზე...**

— წინამძღვრიშვილს ძალიან კარგად ეხერხება საგოლე მომენტის შექმნა, მაგრამ მას მიკროტრავმა აწუხებდა, ხოლო დავითაშვილს უფრო მეტი მოცულობის სამუშაოს შესრულება შეუძლია და დაცვით ფუნქციებსაც ითავსებდა, მეტოქე მცველებს აკავებდა.

**— საპასუხო შეხვედრაში გოლის გატანა აუცილებლად გმართებთ — რა ტაქტიკურ მოდელს აირჩევთ?**

— შეტევა უნდა გავაძლიეროთ. ფრე ან მინიმალური ანგარიშით წაგება — ასეთი განწყობა არ გვაქვს. რაციონალურად უნდა ვიმოქმედოთ შეტევაშიც და დაცვაშიც. ფეხბურთში ყველაფერია მოსალოდნელი. მაქსიმალურად უნდა ვიყოთ მობილიზებულნი, ძალიან მნიშვნელოვანია გამართლების ფაქტორიც. თამაშამდე არ უნდა შევეგუოთ ცუდ შედეგს.

**— წლეულს ქართული გუნდები ევროტურნირებზე ადრინდელივით სამარცხვინოდ არ გამოსულან — ამას რითი ახსნიდით?**

— მთავარი ფაქტორი მენტალიტეტია. უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ თამაში ყველასთან შეიძლება.

**— ნაკრებზეც ვთქვათ — როცა თქვენ თამაშობდით ეროვნულ ნაკრებში, მაშინ უფრო ადვილი იყო თამაში და შედეგის მიღწევა თუ ახლა?**

— ვიცი, რომ ნაკრებში ახლა კარგი ატმოსფეროა, მწვრთნელი ახერხებს გუნდის შეკვრას. ფსიქოლოგიური ტვირთი და დაძაბულობა აღარ იგრძნობა და, ვფიქრობ, ბიჭებს თავდადებაც მეტი ექნებათ. ჩემ დროს უფრო ინდივიდუალიზმით ცდილობდა ნაკრები ფონს გასვლას, ახლა კი უფრო კარგად დაბალანსებული გუნდი გვეყოლება.

**— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ლიტვასთან ორი ამერელი იყო გამოძახებული — წინამძღვრიშვილი და ზურაბ გვაძაბია — ისინი 18 წლისანი არიან და, როგორ ფიქრობთ, უკვე სრულფასოვნად არიან მზად 21 წლის ფეხბურთელებთან სათამაშოდ?**

— სავსებით შესაძლოა, რომ მათ სწრაფი პროგრესი ჰქონდეთ. გვაძაბიამ ბოლო დროს მოუმატა, წინამძღვრიშვილის მენტალიტეტი კი უკეთესობისკენ შეიცვალა.

**— ამერელ დენის დობროვოლსკის ახალგაზრდულ ნაკრებში არ იწვევენ — მიგაჩნიათ, რომ ის საამისოდ ჯერ მზად არ არის?**

— დობროვოლსკი ჯერ კიდევ წინა სეზონში იყო მზად ახალგაზრდული ნაკრებისთვის.

**დავით თავართქილაძე**

# დიდავა, როა და ობრეგონი

## ამერი და დინამო ფურცლებსღა ელიან

**ეროვნული** ჩემპიონატის მესამე ტური 20 აგვისტოს გაიმართება მთავარი მატჩი კი ალბათ „ამერის“ და „დინამოს“ დაპირისპირება იქნება და არცთუ მცირე შანსია, გუნდები გლდანში ახალ-ახალი ფეხბურთელებით წარდგნენ.

„ამერმა“ თურქეთის ფეხბურთის ფედერაციიდან გივი დიდავას სატრანსფერო ფურცელი მოითხოვა — 30 წლის დიდავა ბოლოს თურქულ „ქოჯაელში“ თამაშობდა და, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დღე-დღეზე ამერელი გახდება.

თბილისის „დინამოს“ კი იმ ორი ეკვადორელი ფეხბურთელის აყვანა სურს, რამდენიმე დღის წინ გასინჯვაზე რომ ჩამოვიდნენ — ურტადო როა და ანგულო ობრეგონი. დინამოელები ეკვადორიდან მათ სატრანსფერო დოკუმენტაციას ელიან.

**ლუკა თალაკვაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯიუტი ჯილი: დაგვაბრუნეთ A-ში!

## ქალბატონი რკინის ქალამნებით

*„იუვენტუსის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ სრულიად დაუფარავად და ყველას გასაგონად გამოაცხადა, რომ სხვადასხვა ინსტანციებში ჩივილს მანამდე არ შეწყვეტს, სანამ გუნდს სერია A-ში არ აღადგენენ*




„ოლიმპიურ კომიტეტში დანიშნულ განხილვაზე ფეხბურთის ფედერაციისადმი დიდი პატივისცემის გრძნობით მივალთ, მაგრამ ბოლომდე შევეცდებით იმის დამტკიცებას, რომ დღევანდელი ვერდიქტი უსამართლოა და „იუვენტუსის“ ყველაზე ადექვატური დასჯა სერია A-ში მინუს ქულებით დატოვება იქნებოდა“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, რომ „ბებერი ქალბატონი“ 2006-07 წლების სეზონს ახლანდელი ვერდიქტის თანახმად სერია B-ში მინუს 17 ქულით დაიწყებს. შეგახსენებთ აგრეთვე, რომ ეს სასჯელი უკვე გასაჩივრების შედეგი გახლავთ, თორემ თავდაპირველად ტურინელებს 30 ქულას აკლებდნენ. აქ, რამდენიმე თამაშით სტადიონის დისკვალიფიკაციასა და ფულად ჯარიმას აღარ ვახსენებთ, რადგან ზემოთ ნახსენებთან შედარებით მეტად წვრილმანი ამბავია.

ახლა, კალჩოპოლის სკანდალს მეორე აპელაციის დრო უდგას. დღეს, 18 აგვისტოს, „ბებერი ქალბატონის“ საჩივარს იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი განიხილავს და აქ, კონსულტაციებში ფეხბურთის ფედერაციაც აპირებს მონაწილეობას. გუშინაც მოგახსენეთ, რომ ფედერაციას თავისი ინტერესი აქვს — საქმის მეტად გაჯანჯლება აღარ უნდა, რადგან ჩემპიონატი აქვს ბოლოს და ბოლოს დასაწყები, მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ ოლიმპიურმა კომიტეტმა „იუვენტუსის“ მოსაწონი გადაწყვეტილება ვერ მიიღო, ტურინელებს კიდევ ერთი ჩივილის უფლება რჩებათ. ორგანიზაციას, სადაც მათ შეუძლიათ მორიგი საჩივარი შეიტანონ, „ლაციოს ტრიბუნალი TAR“ ჰქვია.

„არც კი მინდა დავუშვა, რომ სერია A-ში ვერ ვითამაშებთ — ზეწოლას აძლიერებს „იუვეს“ პრეზიდენტი კობოლი ჯილი — მაგრამ თუ იურიდიულად მაინც დაგვამარცხებენ, მაშინ ფეხბურთით გავიმარჯვებთ და ისე მოვიპოვებთ სერია A-ში თამაშის უფლებას. ჩვენ სატრანსფერო ბაზრიდან ჯერ არ გამოვსულვართ. ჩვენ ახალ ცენტრალურ მცველს ვყიდულობთ, მაგრამ მისი დასახელებისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ“.

მოვლენების გარედან შემყურე მიმომხილველებს რჩებათ შთაბეჭდილება, რომ „იუვენტუსი“ მაინც დარწმუნებულია, რომ მათ დიდ ამნისტიას გამოუცხადებენ, ხოლო კალჩოპოლის ცოდვებს ყოფილ დირექტორებს, ლუჩანო მოჯისა და ანტონიო ჯირაუდოს აჰკიდებენ, მაგრამ თავის მხრივ ფედერაციამ განაცხადა, რომ უკან დახევა არ იქნება.

ფედერაციის კომისიონერი გვიდო როსი: „ფედერაცია ვერ და არ შეცვლის სასამართლოს გადაწყვეტილებას. თუ ვინმე ფიქრობს, რომ იტალიურ ფეხბურთში საზაფხულო ფასდაკლება იყო და დამთავრდა, მეტისმეტად შემცდარა“.

ამასობაში კი „იუვენტუსი“ ფეხბურთსაც თამაშობს. მისი ბოლო სპარინგ-პარტნიორი გახლდათ სერია A-ს გუნდი „პიაჩენცა“, რომელთანაც 0:0 ითამაშა, მაგრამ დასკვნების გაკეთებას ნუ იჩქარებთ, რადგან დიდიე დეშანმა ამ შეხვედრაში ძალიან ახალგაზრდული შემადგენლობა ათამაშა.

დეშანი: „იმისათვის, რომ ჩვენს მიზნებს მივაღწიოთ, რაც შეიძლება მეტი თამაში უნდა მოვიგოთ და შეჯიბრება რომ დაიწყება, რაც შეიძლება მეტი ქულა უნდა მოვაგროვოთ, ხოლო ზუსტად რომელ ლიგაში მოხდება ეს ამბავი, იმედი მაქვს, პარასკევს ერთხელ და სამუდამოდ გაირკვევა. ცხადია, ჩვენ ყველას სერია A-ში გვინდა, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, ამით ჩვენი საქმისადმი დამოკიდებულება ვერ შეიცვლება. ჩვენ მუხლჩაუხრელად ვშრომობდით და ასევე განვაგრძობთ“.

**პაპუნა ძედია**



# კუიტი ოცნებაში

**„ლივერპულმა“** 10 მილიონ გირვანქად „ფეიენოორდიდან“ დირკ კუიტი იყიდა. ამ ამბავმა გაახარა ლივერპულელები და გააოგნა „ნიუკასლი“, რომლის პატრონი ფრედი შეპერდი და მწვრთნელი გლენ რიოდერი გუშინწინ დუბლინში კუიტის სანახავად ჩავიდნენ. იქ ირლანდია ჰოლანდიასთან 0:4 დამარცხდა, „ნიუკასლმა“ კი „ლივერპულთან“ სატრანსფერო თამაში წააგო.

ამ ზაფხულს ჯიბრილ სისესა და ფერნანდო მორიენტესის წასვლის შემდეგ, რაფაელ ბენიტესი ფორვარდს ეძებდა და მიაგნო კიდეც — ჰოლანდიის ნაკრებისა და „ფეიენოორდის“ 26 წლის თავდამსხმელი „ენფილდზე“ გადაბარგდება.

ჰოლანდიელი მეგოლე გუშინ საღამოს ჩავიდოდა ინგლისში და სამედიცინო შემოწმებას გაივლიდა.

კუიტმა თქვა, რომ „ლივერპული“ მისი ოცნების გუნდია: „ბევრი კლუბი მეპატიჟებოდა, მაგრამ „ლივერპულზე“ უფრო დიადი არც ერთი არ იყო. დიდი პატივია ასეთ გუნდში თამაში, რომელსაც მდიდარი ისტორია აქვს და საუცხოო ფანები ჰყავს“.

„ფეიენოორდის“ თავმჯდომარე იორიენ ვან დენ ჰერიკმა განაცხადა, რა არ ვიღონეთ მის შესანარჩუნებლად, მაგრამ „ლივერპულის“ სახელი რომ გაიგო, აღარ მოისვენაო.

**ირაკლი ნინიძე**

# რიდი მამლებს გაერიდა




**„ჩარლტონმა“** „ტოტენჰემიდან“ ირლანდიელი ნახევარმცველი ენდი რიდი შეიძინა. 24 წლის ფეხბურთელმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და იგი კლუბის მეხუთე ახალწვეული გახდა ამ ზაფხულს. ტრანსფერის ფასი დაახლოებით 3 მილიონი გირვანქაა.

„ყველამ იცის, რომ პრემიერლიგაში ბურთის კარგად მცოდნე ნახევარმცველები ფასობენ და ძალიან მოხარული ვარ ამ ფეხბურთელის ყიდვით — განაცხადა ჩარლტონელთა მწვრთნელმა იან დოუიმ — რიდი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და დიდი პოტენციალი აქვს. ეხერხება საგოლე პასები და მოედანს შესანიშნავად ხედავს“.

ენდი რიდი „ტოტენჰემში“ 2005 წელს „ნოტინგემიდან“ გადავიდა მაიკლ დოუსონთან ერთად. დოუსონი ჩაიკარგა, რიდმა კი თავი გამოიჩინა და 27 მატჩში ითამაშა.

„ჩარლტონმა“ კი ირლანდიელამდე გადაიბირა ჯიმი ტრაორე, სკოტ კარსონი, ამდი ფაიე და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი.

**მაშა ხუციშვილი**

# სერმა ოუენი მოთაფლა




**ყოვლისმცოდნე** ინგლისური გაზეთი „სანი“ გვიმტკიცებს, რომ 25 წლის ოუენ ჰარგრივსმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტს ხელი უკვე მოაწერა. „სანი“ იმასაც ამბობს, რომ ტრანსფერის საფასური 13 მილიონი გირვანქაა და ეს ყველაფერი პირადად სერ ალექს ფერგიუსონის მოკვარახჭინებული გახლავთ.

ინგლისის ნაკრების კანადაში დაბადებული ნახევარმცველი თავის კლუბს, მიუნხენის „ბაიერნს“, მას მერე რაც ფერგიუსონის წინადადება მიიღო (რომელსაც საჯაროდ ფანტასტიკური უწოდა) ბოლოხანს გაშვებას ეხვეწებოდა, მაგრამ თავიდან უარს იღებდა. როგორც „სანი“ ამტკიცებს მანჩესტერელები 12 მილიონს იხდიდნენ, მიუნხენელები კი 17-ს ითხოვდნენ, მაგრამ, როგორც კი თავად ფეხბურთელმა ხმა ამოიღო და მანჩესტერში გადასვლის სურვილი ველარ დამალა, მხარეები დასხდნენ და 13 მილიონზე მოილაპარაკეს.

**პაპუნა ძედია**

# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. A ჯგუფი



დავით ლორია

## ლორია ყაზახების ლომია

**ბელგია 0:0 ყაზახეთი**

**ბელგია:** სტონენი, ვერმაელენი, სიმონსი, ვან ბუიტენი, კომპანი (პიუსეგემსი 38), ვან დამე (პიერონი 60), ჰოეფკენსი (ვანდენ ბორე 74), გოორი, ბუფელი, გერაერტსი, დემბელე
**მწვრთნელი:** რენე ვანდერეიკენი
**ყაზახეთი:** ლორია, კუჩმა, სმაკოვი, ასოვსკი, კარპოვიჩი (ტრავინი 54), სერგიენკო, ხოხლოვი, ბიაკოვი, ბალტიევი, ჟალმაგამბეტოვი, ჟუმასკალიევი
**მწვრთნელი:** არნო პიიპერსი
**გაფრთხილება:** ბიაკოვი (49), სერგიენკო (55), სმაკოვი (60), ბალტიევი (66)
**მსაჯი:** მარკ კოურტნი (ჩრდ. ირლანდია)

**ყაზახეთმა** ისტორიულ შეხვედრაში ქულა წაართვა ბელგიას და ამ მატჩის გმირი მეკარე დავით ლორია გახდა.

ყაზახეთისთვის ეს გახლდათ პირველი თამაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში და თავი არ შეირცხვინეს მათზე მაღალი კლასის მეტოქესთან.

გეხსომებათ, რომ აზიის კონფედერაციიდან 2002 წელს უეფაში გადაბარგებული, სსრკ-ს ყოფილი რესპუბლიკა, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევშიც მონაწილეობდა და პირველი ქულა სწორედ იმ ციკლში, საქართველოსთან თბილისში აიღო.

მთელი თამაშის განმავლობაში ბელგიელებს ჰქონდათ უპირატესობა და ეს არცაა გასაკვირი, მაგრამ მეტოქის კარს გასაღები ვერ მოარგეს. მასპინძლები სამჯერ პენალტსაც ითხოვდნენ, თუმც ჩრდილოირლანდიელმა მსაჯმა მარკ კოურტნიმ არ დაუსტვინა.

თავის მხრივ, თითო ტაიმში თითო საგოლე მომენტი შექმნეს სტუმრებმაც, მაგრამ ნურბოლ ჟუმასკალიევმა და დმიტრი ბიაკოვმა ვერ გამოიყენეს.

„ჩვენ დაცვაში კარგად ვითამაშეთ და კონტრშეტევებზე ავაწყეთ ტაქტიკა, რამაც გაამართლა“ — განაცხადა ყაზახთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა არნო პიიპერსმა.

ბელგიის ნაკრებმა, რომელიც ამ ზაფხულს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, მატჩის ბოლოს ქომაგებისგან საჩუქრად სტვენა მიიღო.

ფრის მიუხედავად, მასპინძელთა თავკაცი რენე ვანდერეიკენი ოპტიმისტურად იყო განწყობილი. „პანიკას ნუ ავტეხთ. საწყენია, რომ ვერ მოვიგეთ, მაგრამ ჯერ კიდევ 13 მატჩი გვაქვს სათამაშო“ — ბრძანა ვანდერეიკენმა, რომელმაც ნაკრები იანვარში ემე ანტუენისისგან ჩაიბარა და ეს მისთვის პირველი ოფიციალური თამაში იყო.

მომდევნო შეხვედრა ბელგიას სომხეთში ელის, ხოლო ყაზახეთი აზერბაიჯანს ეწვევა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ამხანაგური მატჩები

**ინგლისი 4:0 საბერძნეთი**
1:0 ტერი (14), 2:0 ლამპარდი (30), 3:0, 4:0 კრაუჩი (35, 42)
**ინგლისი:** რობინსონი (კირკლანდი 45), გ. ნევილი (კარგერი 78), ფერდინანდი, ტერი, ე. კოული (ბრიჯი 80), ჯერარდი (ბენტი 78), ლამპარდი, ჰარგრივსი, დაუნინგი (ლენონი 69), დეფო (რიჩარდსონი 69), კრაუჩი
**მწვრთნელი:** სტივ მაკლარენი
**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, ფისასი (ლაგოსი 29), დელასი (ანატოლაკისი 64), კაცრიანისი, ანცასი (კირიაკოსი 45), ვინტრა, ზაგორაკისი (ბასინასი 45), კარაგუნისი, იანაკოპულოსი (სალპიგიდისი 45), სამარასი (ამანატიდისი 45), ხარისტეასი
**მწვრთნელი:** ოტო რეჰაგელი




ბერძნების რბევა ჯონ ტერიმ დაიწყო

## ერიკსონი მაკლარენი რომ ყოფილიყო...
### საბერძნეთმა ინგლისს გერმანია გაახსენა

**ინგლისის** ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოყოლილი უსიამოვნო გრძნობა ევროპის ჩემპიონ საბერძნეთის ნაკრების 4:0 ძლევით მოიშორა თავიდან.

მატჩი მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“ გაიმართა და გახლდათ ახალი მწვრთნელის, სტივ მაკლარენის პირველი გამოცდა. გარდა მაკლარენისა ეს იყო ჯონ ტერის დებიუტი ეროვნული გუნდის კაპიტნის რანგში და სტატიაც იმით უნდა დავიწყოთ, რომ ტერის დიდებული დებიუტი გამოუვიდა, მე-14 წუთზე სწორედ მან გახსნა ანგარიში. 30-ე წუთზე ტერის თანაკლუბელმა, „ჩელსის“ სხვა ვარსკვლავმა ფრენკ ლამპარდმა აუბა მხარი, ბოლო ორი კი ლივერპულელმა პიტერ კრაუჩმა შეაგდო.

ასეთმა გამარჯვებამ ამპარტავან ინგლისელებს დაუყოვნებლივ გაუჩინა კითხვა, რას იზამდა მსოფლიოს ჩემპიონატზე მათი ნაკრები, მწვრთნელად მაშინ შვედი სვენ-გორან ერიკსონი კი არა, სტივ მაკლარენი რომ ჰყოლოდათ. ყოფილი თანაშემწის ქება-დიდება არც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ცნობილმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა დაიზარა. სიამაყის გამომხატველი სიტყვების შემდეგ მან თქვა:

„გუნდმა სტანდარტი უკვე დასახა, ახლა თანმიმდევრულობა და მუდმივობაა მისაღწევი“.

მაკლარენმა „ლივერპულის“ კაპიტანი სტივენ ჯერარდი მარჯვენა ფრთაზე გასწია და მიუნხენის „ბაიერნის“ მებრძოლ ნახევარმცველ ოუენ ჰარგრივსს შეუთამაშა. სხვათა შორის, ჰარგრივსს დევიდ ბექჰემის შვიდნომრიანი მაისურა ეცვა და როდესაც მატჩის წინ „ოლდ ტრეფორდის“ გამომცხადებელმა მისი გვარი წარმოთქვა, ტრიბუნებს საყოველთაო ოვაცია მოსწყდა.

ხოლო ანგარიში ასე გაიხსნა: ბერძენთა მეკარე ანტონიოს ნიკოპოლიდისმა კრაუჩს თავური მცდელობა ჩაუშალა, მაგრამ ბურთის თავისთვის დატოვება ვერ შეძლო და ამის გამო ის სტიუარტ დაუნინგის ლუკმა შეიქნა. დაუნინგმა თავით გადაუგდო ტერის, ის კი საჭირო დროს საჭირო ადგილზე იდგა.

ორ წუთში კრაუჩს მეორე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ოდნავ ააცილა მიზანს, ხოლო 30-ზე ბერძენთა საჯარიმოში ჯერმენ დეფო შეიჭრა, მეტოქის წინააღმდეგობას აჯობა და პასი ლამპარდს გადააწოდა, მან კი მიზანს მიაღწია.

მესამე გოლი ბერძენთა კარში მეორედან ხუთი წუთის შემდეგ გავიდა და ის უმალ ისევ ლამპარდს უნდა გაეტანა ვიდრე კრაუჩს, მაგრამ ისე მოხდა, რომ „ჩელსის“ ნახევარმცველს ნიკოპოლიდისმა აუღო, დამატება კი ყველაზე ადრე კრაუჩმა მოახერხა.

და მეოთხე, რომელიც ლივერპულელმა ფორვარდმა ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე შეაგდო, თუმცა წამებით ადრე გარი ნევილის ჩაწოდებულს ვერ მიუჩინა თავით ადგილი ევროპის ჩემპიონთა კარში. და სწორედ ამ ვერგატანისთვის ბოდიშის მოხდასავით გამოუვიდა დაუნინგის ჩაწოდებულზე ისეთივე თავურის დარტყმა, როგორიც ნევილის პასის შემთხვევაში უნდა დაერტყა.

**ბაკურა ქედია**

**ირლანდია 0:4 ჰოლანდია**
0:1 ჰუნტელაარი (25), 0:2 რობენი (41), 0:3 ჰუნტელაარი (53), 0:4 ვან პერსი (70)
**ირლანდია:** კენი, კარი, ობრაიენი, ოში, ფინანი (კელი 64), რიდი (მილერი 64), კევენაფი, მაკგიდი, მორისონი (დუგლასი 46), ელიოტი, კილბეინი
**მწვრთნელი:** სტივ სტონტონი
**ჰოლანდია:** ვან დერ სარი, ჰეიტინგა, ოიერი (ჯაილენსი 76), მატიისენი, დე კლერი (ემანუელსონი 60), ლანძაატი (კუიტი 46), ვან დერ ვაარტი, შაარსი (იანსენი 83), ვან პერსი, ჰუნტელაარი, რობენი (დე იონგი 46)
**მწვრთნელი:** მარკო ვან ბასტენი



## ჰოლანდიური ფეხბურთის გაკვეთილი დუბლინში

**ირლანდიის** ნაკრების მწვრთნელი სტივ სტონტონი სამი დღის წინ შეიარაღებულ თავდამსხმელს გადაურჩა, მაგრამ ჰოლანდიის ნაკრებს — ვერა. 0:4, ასეთი სხვაობით ირლანდიელებს შინ, ბოლო 40 წლის განმავლობაში არ წაეგოთ.

მარკო ვან ბასტენი, ცხადია, გახარებული და კმაყოფილი იყო თავისი გუნდის თამაშით და თქვა, რომ დუბლინში ბოლო ორი სტუმრობისას დამარცხებული ჰოლანდია, ამჯერად საგანგებოდ მომზადებული ეწვია მეტოქეს.

ვან ბასტენმა უარყო რუუდ ვან ნისტელროისთან უთანხმოება, რომელიც არ მიიწვია ნაკრებში და განაცხადა, რომ კლაას იან ჰუნტელაარი რეალელ ფორვარდზე უკეთესია.

„ჰუნტელაარმა ორი გოლი გაიტანა და ორი საგოლე პასი გააკეთა. მან საუცხოოდ ითამაშა“ — აღნიშნა მწვრთნელმა.

სტივ სტონტონი: „ჰოლანდიელებმა კლასი გვაჩვენეს და გაკვეთილი ჩაგვიტარეს. ჩვენ ერთი საგოლე მომენტიც კი ვერ შევძელით“.

სტონტონმა ბრაიან კერისგან ჩაიბარა გუნდი და მის ხელში ირლანდიამ ერთი მოგება და ორი მარცხი მიითვალა.

„ნარინჯისფერთა“ ნახევარდაცვაში შესანიშნავად გაისარჯა რაფაელ ვან დერ ვაარტი, კლაას იან ჰუნტელაარმა კი პირველი 23-ზე გაიტანა, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაუთვალეს. ორი წუთის მერე აიაქსელმა თავურით მაინც გახსნა ანგარიში, გოლი კუთხურს მოჰყვა.

შემდეგ მასპინძელმა სტეფან ელიოტმა გაუკეთა კარგი პასი... ჰუნტელაარს, რომელმაც არიენ რობენს გაატანინა, ხოლო მეორე ტაიმში ვან დერ ვაარტმა და აიაქსელმა ფორვარდმა გაითამაშეს კოხტა კომბინაცია, რაც ჰუნტელაარმა დააგვირგვინა — 0:3.

ბოლოს რობინ ვან პერსიმ გაილაღა, ირლანდიელ მცველებში ლივლივით გაისეირნა და მეოთხე გოლი შეაგდო. მეხუთეც შეეძლო, მაგრამ ახლოდან ააცილა.

**ირაკლი ნინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

## წასვლის დრო ბუნდოვნად მახსოვს



**ჩეხეთი 1:3 სერბეთი**
1:0 შტაინერი (3), 1:1 ლაზოვიჩი (41), 1:2 პანტელიჩი (54), 1:3 ტრისოვიჩი (75)
ჩეხეთი: ბლაჟეკი, გრიგერა, იანკულოვსკი (ბედნარი 70), როზენალი (ზაპოტოჩნი 46), უიფალუში, ნედვედი (იაროლიმი 46), პლასილი (სიონკო 46), პოლაკი (კოვაჩი 46), შტაინერი, კოლერი, პიტაკი (კულიჩი 60)
მწვრთნელი: კარელ ბრიუკნერი
სერბეთი: სტოიკოვიჩი, ბისევაჩი, ლუკოვიჩი, მარკოვიჩი, სტეპანოვი, დულიაი, ილიჩი, კორომანი (კოვაჩევიჩი 46), სტანკოვიჩი (ლიუბოია 62), ლაზოვიჩი (ტრისოვიჩი 46), პანტელიჩი (ივანოვიჩი 79)
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაძევება: სტეპანოვი (76)

**ჰო,** სანაკრებო კარიერის დასრულება უკეთაც შეიძლებოდა — 2003 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ჩეხი პაველ ნედვედი ეროვნულ გუნდს სერბეთთან 1:3 მარცხით დაემშვიდობა. წამით ზინედინ ზიდანის ბოლო შეხვედრა გავიხსენოთ (ზიდანი და ნედვედი ერთი ეპოქის ფეხბურთელები გახლავან), სკანდალური, საკამათო, მაგრამ სამუდამოდ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში შესული, როგორც განსაკუთრებული მოვლენა. ზიდანის ბოლო შეხვედრა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი გახლდათ. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ ნაკრებთან გამოთხოვება მრავალნაირი არსებობს, როგორც ცხოვრებამ გვაჩვენა „ზიდანურიც", ნედვედს კი, როგორც ჩანს, წილად თანდათან ჩაქრობა ერგო... უფრო თავად ირჩია ასე. დააკვირდით, თუ გნებავთ, მისი საკლუბო კარიერის დაისსაც, თუმც ამ საკითხზე ფართო მსჯელობას აქ არ ვაპირებთ.

„ნაკრებიდან წასვლაზე დიდი ხანი ვფიქრობდი და მგონი დადგა კიდეც დრო — თქვა ჩეხმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე — მივდივარ გრძნობებით და განცდებით სავსე გულით. ჩემი კარიერა ხომ უამრავი მოვლენით გახლდათ გადატვირთული. ვერც კი ვიხსენებ, როგორ ვითამაშე ამდენი, გონებაში ხომ აურაცხელი ამბავი გადიოდა და გამოდიოდა".

ნედვედმა ჩეხეთის ნაკრების შემადგენლობაში 90 შეხვედრაში 16 გოლი გაიტანა. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მან პირველად სცადა ეროვნული გუნდისთვის თავის დანებება, მაგრამ როდესაც ჩეხებს მის გარეშე მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა გაუჭირდათ, დაბრუნდა და გერმანია 2006-ის საგზურის მოპოვებაში თავისი წვლილი შეიტანა.

ორი შვილის მამა სანაკრებო ფეხბურთიდან მიდის, როგორც ევროპის 1996 წლის პირველობის ფინალისტი და 2004 წლის პირველობის ნახევარფინალისტი. მან ნაკრებში პირველად 1994 წელს ითამაშა.

**ბაჩუნა ძიდია**



დუნგამ ხელების ქნევა უკვე დაიწყო

## ეს უკვე იყო კლოზე ბალაკის ტოლია

**გერმანია 3:0 შვედეთი**
1:0 შნაიდერი (4), 2:0, 3:0 კლოზე (8, 44)
გერმანია: ლემანი, ლამი, ა. ფრიდრიხი (მ. ფრიდრიხი 46), ნოვოტნი, იანსენი (ფატი 46), ფრინგსი (ჰიცლშპერგერი 74), ბოროვსკი, შნაიდერი (ოდონკორი 82), შვაინშტაიგერი, კლოზე (ნოივილი 46), პოდოლსკი (ასამოა 64)
მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი
შვედეთი: შააბანი, ნილსონი (ბაკირჯიოღლუ 73), ანტონსონი, ჰანსონი, სტენმანი, ალექსანდერსონი, ლინდეროტი (ანდერსონი 70), კალსტრიომი, ვილჰელმსონი (როზენბერგი 67), სვენსონი, ელმანდერი (ბერგლუნდი 83)
მწვრთნელი: ლარს ლაგერბეკი

**გერმანიამ** იოახიმ ლიოვის თავკაცობით პირველივე მატჩი დიდი ანგარიშით მოიგო. იურგენ კლინსმანის შემცვლელი უკეთეს დასაწყისს, ალბათ, ვერც ინატრებდა.

„ჩვენ ვეცადეთ, რომ მუნდიალის შემდგომი იმპულსი შეგვენარჩუნებინა — განაცხადა ლიოვმა — ვფიქრობ, კარგად გამოგვივიდა და დიდებულია, რომ ჩემი სადებიუტო შეხვედრა 3:0 მოვიგეთ. ევრო 2008-ის შესარჩევისთვის იმედიანად ვარ. მსოფლიოს ჩემპიონატის მერე საკუთარი ძალების რწმენა შეემატა გუნდს და ის ყოველი თამაშის შემდეგ უფრო დაიხვეწება".

ლიოვის შვედმა კოლეგამ ლარს ლაგერბეკმა თქვა: „თითქმის იგივე განმეორდა რაც მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში მოხდა".

იმ შემადგენლობიდან, რომელმაც მესამე ადგილისთვის მატჩში პორტუგალია 3:1 დაამარცხა, იოახიმ ლიოვმა შვიდი ფეხბურთელი იახლა და მერვე წუთზე შვედებს უკვე 2:0-ს უგებდნენ.

ტიმ ბოროვსკის პასით ბერნდ შნაიდერმა გახსნა ანგარიში და ეს მისთვის მეორე სანაკრებო გოლი გამოდგა.

ამას მოჰყვა მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირისა და გერმანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელის, მიროსლავ კლოზეს გოლი.

შვედები დაიბნენ, დაახლოებით მსგავსი რამ მოხდა მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალშიც, მაშინ 12 წუთი დასჭირდათ მასპინძლებს ორი გოლის გასატანად, ახლა კი რვა იკმარეს.

პირველი ტაიმის მიწურულს მიროსლავ კლოზემ თავური დარტყმით მესამე გოლი მიართვა სტუმრებს და 63 სანაკრებო მატჩში უკვე 31 გოლი მოუგროვდა. ამით იგი მიხაელ ბალაკს გაუთანაბრდა, რომელმაც ტრავმის გამო გამოტოვა თამაში.

3:0-ის შემდეგ იოახიმ ლიოვმა „ჰერტას" მცველი მალიკ ფატი და მაინცელი მანუელ ფრიდრიხი შეუშვა, რომლებისთვისაც ეს სადებიუტო მატჩი იყო გერმანიის ნაკრებში.

**გიორგი დარჯანია**



## ბრაზილიის მოსკოვური ფრე

**ნორვეგია 1:1 ბრაზილია**
1:0 პედერსენი (51), 1:1 კარვალიო (63)
ნორვეგია: მირე, რამბეკი, ჰაგენი (ვეჰლერი 78), ჰანგელანდი, რიისე, სტრომსტადი (გრინდჰეიმი 79), ანდერსენი, ჰაესტადი, პედერსენი (აარსტი 72), სოლსკიაერი (ივერსენი 46), კარეუ (ბრაატენი 90)
მწვრთნელი: აგე ჰარეიდე
ბრაზილია: გომესი, სისინიო (მაიკონი 53), ლუსიო, ჟუანი (ალექსი 78), ჟილბერტო, სილვა, ედმილსონი (დუდუ 72), ელანო (ბაპტისტა 81), რობინიო, კარვალიო (ვანგნერ ლავი 72), ფრედი
მწვრთნელი: დუნგა

**ნორვეგიას** ბრაზილიასთან ახლა უკვე ოთხი თამაშია, არ წაუგია — ოსლოში გამართული ამხანაგური მატჩი, რომელიც იმავდროულად პენტაკამპეონთა ახალი მწვრთნელის, დუნგას დებიუტი გახლდათ, 1:1 დამთავრდა. ბოლო ოთხი თამაშის სტატისტიკა ასეთია: 1997 წელს გამართული ამხანაგური შეხვედრა და 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის მატჩი ჩრდილოელებმა მოიგეს, 1998 წლის და ამ ოთხშაბათის ამხანაგურები კი ფრედ დამთავრდა.

ოთხშაბათის შეხვედრაში ანგარიში, ფრთაშესხმულმა ნორვეგიელებმა 51-ე წუთზე გახსნეს — „ბლექბერნის" წევრმა მორტენ გამსტ პედერსენმა საჯარიმოდან პირდაპირ გაუტანა ბრაზილიის ეროვნული გუნდის ექსპერიმენტულ შემადგენლობას. საქმე ის გახლავთ, რომ დუნგამ ამ შეხვედრაში არ იხმო პირველი რიგის ვარსკვლავები: რონალდინიო, კაკა, რონალდო და მსგავსნი. პენტაკამპეონებს რვა დებიუტანტი ჰყავდათ, მათ შორის კარვალიო, რომელმაც გაათანაბრა კიდეც ანგარიში. ეს კარვალიო, რომელმაც გოლი ფრიად ტექნიკური დარტყმით შეაგდო, მოსკოვის ცსკაში გამოდის.

მატჩის ზოგადი სურათი ასეთი გახლდათ: პირველ ტაიმში ბრაზილია უფრო იდგა და რაღაცით, გერმანიაში ნაჩვენებ საკუთარ თავსაც ჰგავდა, მეორეში კი გაილვიძა და შეტევაზე მეტი იფიქრა.

აქვე უნდა ვაქოთ ნორვეგიელთა მეკარე ტომას მირე, რომელმაც ოთხჯერ საოცრად მოიგერია სტუმრების დარტყმული.

| 16008 | რედინგი-მიდლსბრო | 1.70 | 1.80 |
| 16009 | ვესტ ჰემი-ჩარლტონი | 1.45 | 2.30 |
| 16010 | ჩელსი-სიტი | 1.02 | 7.00 |
| 16071 | დანდი იუნაიტედი-დანფერმლაინი | 1.40 | 2.50 |
| 16072 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.60 | 1.90 |
| 16074 | რეინჯერსი-ჰარტსი | 1.30 | 2.80 |
| 16075 | სტ.მირენი-აბერდინი | 1.80 | 1.80 |
| 16076 | ინვერნესი-სელტიკი | 4.50 | 1.10 |
| 16092 | ნიურნბერგი-მიონხენგლადბახი | 1.40 | 2.40 |
| 16093 | ალემანია-შალკე | 2.40 | 1.40 |
| 16094 | კოტბუსი-ჰამბურგი | 2.40 | 1.40 |
| 16095 | დორტმუნდი-მაინცი | 1.25 | 3.00 |
| 16096 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1.45 | 2.30 |
| 16097 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.35 | 2.50 |
| 16098 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.28 | 2.80 |
| 16099 | არმინია-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 16100 | ბოხუმი-ბაიერნი | 2.90 | 1.25 |
| 16153 | ოსერი-მარსელი | 1.55 | 2.00 |
| 16154 | ლე მანი-ვალენსიენსი | 1.30 | 2.70 |
| 16155 | ლანსი-ლორიანი | 1.25 | 3.00 |
| 16156 | ნანტი-ტრუა | 1.30 | 2.80 |
| 16157 | პსჟ-ლილი | 1.50 | 2.10 |
| 16158 | რენი-მონაკო | 1.55 | 2.10 |
| 16159 | სედანი-სოშო | 1.60 | 2.00 |
| 16160 | სტ.ეტიენი-ნანსი | 1.45 | 2.30 |
| 16161 | ტულუზი-ნიცა | 1.50 | 2.20 |
| 16162 | ბორდო-ლიონი | 1.90 | 1.70 |

## გოლი: ლუწი-1, კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | შეფილდი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17002 | არსენალი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ევერტონი-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | მანჩესტერი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ნიუკასლი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | რედინგი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17009 | ვესტ ჰემი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ჩელსი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17071 | დანდი იუნაიტედი-დანფერმლაინი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1.85 | 1.95 |
| 17074 | რეინჯერსი-ჰარტსი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | სტ.მირენი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17076 | ინვერნესი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17092 | ნიურნბერგი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17093 | ალემანია-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17094 | კოტბუსი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17095 | დორტმუნდი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17096 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17097 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | არმინია-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | ბოხუმი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17153 | ოსერი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17154 | ლე მანი-ვალენსიენსი | 1.85 | 1.95 |
| 17155 | ლანსი-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17156 | ნანტი-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17157 | პსჟ-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17158 | რენი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17159 | სედანი-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17160 | სტ.ეტიენი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17161 | ტულუზი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17162 | ბორდო-ლიონი | 1.85 | 1.95 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | ----------------------------------------- | კი --- | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | შეფილდი-ლივერპული | 1.90 | 1.70 |
| 13002 | არსენალი-ასტონ ვილა | 1.80 | 1.70 |
| 13003 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13004 | ევერტონი-უოტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 13005 | მანჩესტერი-ფულემი | 1.90 | 1.65 |
| 13006 | ნიუკასლი-უიგანი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 1.70 | 1.90 |
| 13008 | რედინგი-მიდლსბრო | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ვესტ ჰემი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13010 | ჩელსი-სიტი | 1.90 | 1.65 |
| 13071 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1.70 | 1.90 |
| 13072 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.70 | 1.90 |
| 13073 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1.70 | 1.90 |
| 13074 | რეინჯერსი-ჰარტსი | 1.70 | 1.90 |
| 13075 | სტ.მირენი-აბერდინი | 1.70 | 1.90 |
| 13076 | ინვერნესი-სელტიკი | 1.70 | 1.90 |
| 13092 | ნიურნბერგი-მიონხენგლადბახი | 1.60 | 2.00 |
| 13093 | ალემანია-შალკე | 1.60 | 2.00 |
| 13094 | კოტბუსი-ჰამბურგი | 1.60 | 2.00 |
| 13095 | დორტმუნდი-მაინცი | 1.60 | 2.00 |
| 13096 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1.60 | 2.00 |
| 13097 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.60 | 2.00 |
| 13098 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.55 | 2.10 |
| 13099 | არმინია-შტუტგარტი | 1.60 | 2.00 |
| 13100 | ბოხუმი-ბაიერნი | 1.60 | 2.00 |

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | შეფილდი-ლივერპული | 6.50 | 2.20 | 1.85 | 1.64 | 1.44 | 1.00 |
| 10002 | არსენალი-ასტონ ვილა | 1.55 | 2.50 | 11.00 | 1.00 | 1.35 | 2.03 |
| 10003 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 3.10 | 2.00 | 2.95 | 1.21 | 1.51 | 1.19 |
| 10004 | ევერტონი-უოტფორდი | 2.10 | 2.10 | 5.50 | 1.04 | 1.51 | 1.51 |
| 10005 | მანჩესტერი-ფულჰემი | 1.50 | 2.80 | 10.00 | 1.00 | 1.30 | 2.18 |
| 10006 | ნიუკასლი-უიგანი | 2.10 | 2.00 | 5.30 | 1.02 | 1.50 | 1.45 |
| 10007 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10008 | რედინგი-მიდლსბრო | 2.85 | 1.90 | 3.20 | 1.13 | 1.50 | 1.19 |
| 10009 | ვესტ ჰემი-ჩარლტონი | 2.45 | 2.00 | 4.00 | 1.10 | 1.51 | 1.33 |
| 10010 | ჩელსი-სიტი | 1.45 | 2.90 | 11.00 | 1.00 | 1.28 | 2.29 |
| 10071 | დანდი იუნაიტედი-დანფერმლაინი | 2.30 | 2.00 | 4.20 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10072 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 2.80 | 2.00 | 3.10 | 1.16 | 1.47 | 1.21 |
| 10073 | ჰიბერნიანი-მოსერუელი | 2:05 | 2.00 | 5.20 | 1.01 | 1.47 | 1.44 |
| 10074 | რეინჯერსი-ჰარტსი | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10075 | სტ.მირენი-აბერდინი | 2.85 | 2.00 | 2.85 | 1.17 | 1.42 | 1.17 |
| 10076 | ინვერნესი-სელტიკი | 7.00 | 2.60 | 1.50 | 1.89 | 1.23 | 1.00 |
| 10092 | ნიურნბერგი-მიონხენგლადბახი | 2.35 | 2.00 | 4.30 | 1.08 | 1.51 | 1.36 |
| 10093 | ალემანია-შალკე | 4.30 | 2.00 | 2.25 | 1.36 | 1.47 | 1.05 |
| 10094 | კოტბუსი-ჰამბურგი | 4.20 | 2.00 | 2.30 | 1.35 | 1.48 | 1.06 |
| 10095 | დორტმუნდი-მაინცი | 2.00 | 2.10 | 5.30 | 1.02 | 1.45 | 1.50 |
| 10096 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 2.40 | 2.00 | 3.85 | 1.09 | 1.47 | 1.31 |
| 10097 | ჰერტა-ჰანოვერი | 2.25 | 2.00 | 4.55 | 1.05 | 1.50 | 1.38 |
| 10098 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.05 | 2.00 | 5.00 | 1.01 | 1.45 | 1.42 |
| 10099 | არმინია-შტუტგარტი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10100 | ბოხუმი-ბაიერნი | 5.20 | 2.10 | 1.90 | 1.49 | 1.39 | 1.00 |
| 10153 | ოსერი-მარსელი | 2.75 | 1.80 | 3.70 | 1.08 | 1.57 | 1.21 |
| 10154 | ლე მანი-ვალენსიენსი | 2.25 | 1.90 | 5.20 | 1.03 | 1.57 | 1.39 |
| 10155 | ლანსი-ლორიანი | 2.10 | 2.00 | 5.70 | 1.02 | 1.53 | 1.48 |
| 10156 | ნანტი-ტრუა | 2.15 | 1.90 | 5.50 | 1.00 | 1.54 | 1.41 |
| 10157 | პსჟ-ლილი | 2.75 | 1.80 | 3.50 | 1.08 | 1.53 | 1.18 |
| 10158 | რენი-მონაკო | 2.80 | 1.80 | 3.50 | 1.09 | 1.55 | 1.18 |
| 10159 | სედანი-სოშო | 2.85 | 1.80 | 3.50 | 1.10 | 1.57 | 1.18 |
| 10160 | სტ.ეტიენი-ნანსი | 2.50 | 1.90 | 4.20 | 1.07 | 1.56 | 1.30 |
| 10161 | ტულუზი-ნიცა | 2.55 | 1.80 | 3.90 | 1.05 | 1.54 | 1.23 |
| 10162 | ბორდო-ლიონი | 3.50 | 1.80 | 2.90 | 1.18 | 1.58 | 1.11 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | შეფილდი-ლივერპული | 10.00 | 10.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | 2.00 |
| 11002 | არსენალი-ასტონ ვილა | 1.50 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11003 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11004 | ევერტონი-უოტფორდი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11005 | მანჩესტერი-ფულჰემი | 1.40 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11006 | ნიუკასლი-უიგანი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11007 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11008 | რედინგი-მიდლსბრო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 3.90 |
| 11009 | ვესტ ჰემი-ჩარლტონი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11010 | ჩელსი-სიტი | 1.40 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11071 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11072 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11073 | ჰიბერნიანი-მოსერუელი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11074 | რეინჯერსი-ჰარტსი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11075 | სტ.მირენი-აბერდინი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11076 | ინვერნესი-სელტიკი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | 1.65 |
| 11092 | ნიურნბერგი-გლადბახი | 2.75 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 5.70 |
| 11093 | ალემანია-შალკე | 5.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.70 | 20.00 | 10.00 | 2.65 |
| 11094 | კოტბუსი-ჰამბურგი | 5.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.65 |
| 11095 | დორტმუნდი-მაინცი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11096 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11097 | ჰერტა-ჰანოვერი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11098 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11099 | არმინია-შტუტგარტი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11100 | ბოხუმი-ბაიერნი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.30 |
| 11153 | ოსერი-მარსელი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.50 |
| 11154 | ლე მანი-ვალენსიენსი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11155 | ლანსი-ლორიანი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11156 | ნანტი-ტრუა | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11157 | პსჟ-ლილი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11158 | რენი-მონაკო | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11159 | სედანი-სოშო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11160 | სტ.ეტიენი-ნანსი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11161 | ტულუზი-ნიცა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.90 |
| 11162 | ბორდო-ლიონი | 4.50 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 12001 | შეფილდი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 12002 | არსენალი-ასტონ ვილა | 1.90 | 1.70 |
| 12003 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 1.60 | 2.00 |
| 12004 | ევერტონი-უოტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | მანჩესტერი-ფულჰემი | 1.90 | 1.70 |
| 12006 | ნიუკასლი-უიგანი | 1.60 | 2.00 |
| 12007 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 1.60 | 2.00 |
| 12008 | რედინგი-მიდლსბრო | 1.60 | 2.00 |
| 12009 | ვესტ ჰემი-ჩარლტონი | 1.60 | 2.00 |
| 12010 | ჩელსი-სიტი | 1.90 | 1.60 |
| 12071 | დანდი იუნაიტედი-დანფერმლაინი | 1.70 | 1.90 |
| 12072 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.70 | 1.90 |
| 12073 | ჰიბერნიანი-მოსერუელი | 1.90 | 1.70 |
| 12074 | რეინჯერსი-ჰარტსი | 1.90 | 1.70 |
| 12075 | სტ.მირენი-აბერდინი | 1.70 | 1.90 |
| 12076 | ინვერნესი-სელტიკი | 1.90 | 1.70 |
| 12092 | ნიურნბერგი-მიონხენგლადბახი | 1.90 | 1.70 |
| 12093 | ალემანია-შალკე | 1.90 | 1.70 |
| 12094 | კოტბუსი-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 12095 | დორტმუნდი-მაინცი | 1.90 | 1.70 |
| 12096 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12097 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.90 | 1.70 |
| 12098 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.10 | 1.55 |
| 12099 | არმინია-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 12100 | ბოხუმი-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 12153 | ოსერი-მარსელი | 1.55 | 2.10 |
| 12154 | ლე მანი-ვალენსიენსი | 1.50 | 2.20 |
| 12155 | ლანსი-ლორიანი | 1.70 | 1.90 |
| 12156 | ნანტი-ტრუა | 1.60 | 2.00 |
| 12157 | პსჟ-ლილი | 1.60 | 2.00 |
| 12158 | რენი-მონაკო | 1.60 | 2.00 |
| 12159 | სედანი-სოშო | 1.50 | 2.20 |
| 12160 | სტ.ეტიენი-ნანსი | 1.60 | 2.00 |
| 12161 | ტულუზი-ნიცა | 1.50 | 2.20 |
| 12162 | ბორდო-ლიონი | 1.60 | 2.00 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | შეფილდი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | არსენალი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ევერტონი-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | მანჩესტერი-ფულჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ნიუკასლი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | რედინგი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | ვესტ ჰემი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ჩელსი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15071 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15072 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | ჰიბერნიანი-მოსერუელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | რეინჯერსი-ჰარტსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15075 | სტ.მირენი-აბერდინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | ინვერნესი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15092 | ნიურნბერგი-მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | ალემანია-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | კოტბუსი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15095 | დორტმუნდი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15097 | ჰერტა-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | ვერდერი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | არმინია-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | ბოხუმი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15153 | ოსერი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15154 | ლე მანი-ვალენსიენსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15155 | ლანსი-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | ნანტი-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15157 | პსჟ-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15158 | რენი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15159 | სედანი-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15160 | სტ.ეტიენი-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15161 | ტულუზი-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15162 | ბორდო-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | შეფილდი-ლივერპული | 2.50 | 1.30 |
| 14002 | არსენალი-ასტონ ვილა | 1.05 | 2.80 |
| 14003 | ბოლტონი-ტოტენჰემი | 1.90 | 1.80 |
| 14004 | ევერტონი-უოტფორდი | 1.35 | 2.50 |
| 14005 | მანჩესტერი-ფულჰემი | 1.07 | 2.90 |
| 14006 | ნიუკასლი-უიგანი | 1.45 | 2.40 |
| 14007 | პორტსმუთი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 14008 | რედინგი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 14009 | ვესტ ჰემი-ჩარლტონი | 1.70 | 2.20 |
| 14010 | ჩელსი-სიტი | 1.04 | 2.90 |
| 14071 | დანდი იუნაიტედი-დანფერმლაინი | 1.70 | 2.20 |
| 14072 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 14073 | ჰიბერნიანი-მოსერუელი | 1.40 | 2.40 |
| 14074 | რეინჯერსი-ჰარტსი | 1.45 | 2.30 |
| 14075 | სტ.მირენი-აბერდინი | 1.90 | 1.90 |
| 14076 | ინვერნესი-სელტიკი | 2.80 | 1.04 |
| 14092 | ნიურნბერგი-მიონხენგლადბახი | 1.65 | 2.20 |
| 14093 | ალემანია-შალკე | 2.30 | 1.60 |
| 14094 | კოტბუსი-ჰამბურგი | 2.30 | 1.60 |
| 14095 | დორტმუნდი-მაინცი | 1.40 | 2.40 |
| 14096 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 1.70 | 2.20 |
| 14097 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.60 | 2.30 |
| 14098 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.40 | 2.40 |
| 14099 | არმინია-შტუტგარტი | 1.80 | 2.00 |
| 14100 | ბოხუმი-ბაიერნი | 2.40 | 1.40 |
| 14153 | ოსერი-მარსელი | 1.80 | 2.00 |
| 14154 | ლე მანი-ვალენსიენსი | 1.60 | 2.30 |
| 14155 | ლანსი-ლორიანი | 1.40 | 2.40 |
| 14156 | ნანტი-ტრუა | 1.40 | 2.40 |
| 14157 | პსჟ-ლილი | 1.80 | 1.90 |
| 14158 | რენი-მონაკო | 1.70 | 2.00 |
| 14159 | სედანი-სოშო | 1.80 | 1.90 |
| 14160 | სტ.ეტიენი-ნანსი | 1.70 | 2.10 |
| 14161 | ტულუზი-ნიცა | 1.70 | 2.10 |
| 14162 | ბორდო-ლიონი | 1.90 | 1.80 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი დღე მსოფლიოს ჩემპიონატამდე

# ბოდიშიანი პანღური

## ამერიკამ ბოუენი მოიკვეთა




მაიკ კრჟიჟევსკიმ „ოცნების თორმეტეული" დაასახელა

„ჩვენ გადასარევად გავიარეთ მოსამზადებელი პერიოდი, ყველაფერი კარგადაა, ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამ ყველაფრის ბოლოს საქმე შემადგენლობის სეკვესტრირებაზე მიდგება და ვიღაცა გუნდს მიღმა რჩება" — თქვა აშშ-ს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მაიკ კრჟიჟევსკიმ მას შემდეგ, რაც თავის 13-კაციან გუნდს ერთი გამოაკლო და მიიღო ის 12-ეული, რომელსაც იაპონიაში წაიყვანს კარგა ხნის წინ დაკარგული ოქროს საწმისის გამოსაბრძოლველად.

ის ერთი უიღბლო სეკვესტრირებული, მოლოდინისამებრ, „სან ანტონიო სფურზის" 201-სანტიმეტრიანი მსუბუქი ფორვარდი ბრიუს ბოუენი გამოდგა, კაცი, რომლის გაფართოებულ შემადგენლობაში ჩაწერამაც მთელი ამერიკა ააზმაურა — არიქა, ამერიკული კალათბურთის მამებმა საერთაშორისო პრესტიჟის აღსადგენ-გადასარჩენად ახალი კონცეფციები შეიმუშავეს, ვარსკვლავებს მუშა ბიჭებსაც შეუზავებენ და მებრძოლ გუნდს მიიღებენო. ამ შემადგენლობაში ბოუენს ყველაზე ნაკლებად ეწოდებოდა ვარსკვლავი, შეტევაში ბევრი ვერაფერი შვილია, მაგრამ დაცვაში ისე შეუვალია, ოკეანის გაღმა მასზე ლამის ლეგენდები დადის. ნაკრებშიც სწორედ ვინმე ვარსკვლავის ჩასაქრობად ჩართეს, მაგალითად, გერმანელი დირკ ნოვიცკის, ან ფრანგი ბორის დიაუს, ანაც ნებისმიერი გუნდის ნებისმიერი წამყვანის გასანეიტრალებლად, რომელიც ორ მეტრზე ბევრად დაბალი არ იქნება. მაგრამ სულ ბოლოს, როგორც ხედავთ, კრჟიჟევსკიმ შემადგენლობას რომ გადახედა და ერთი კაცი ეზედმეტა, მზერა სწორედ ბოუენზე შეაჩერა, რომელიც სხვათა შორის, გუნდში ყველაზე ასაკოვანი იყო, 35 წლის.

სათქმელია, რომ რამდენიმე დღით ადრე ამერიკელებს ჯილბერტ არენაც დაუშავდათ. მოთამაშე, რომლის სეკვესტრირებაც ნაკლებად იყო მოსალოდნელი, ამდენად კრჟიჟევსკის მხოლოდ ერთი ზედმეტის შერჩევა და გაცხრილვა მოუხდა.

„ჯილბერტი და ბრიუსი ჩვენი გუნდის ნაწილები იყვნენ ისევე, როგორც სხვა 12 მოთამაშე, მაგრამ საქმეც ესაა, რომ გუნდში 12-ზე მეტს ვერ შეიყვან — თავს იმართლებდასავით ამერიკელთა თავკაცი — ჩვენ მოგვიხდა ამ მძიმე გადაწყვეტილების მიღება. მადლობა ბრიუსს".

მაშ ასე, აგერ შეერთებული შტატების ის ნაკრებიც, რომელიც ასე წვალებ-ოფლისღვრით მივიდა იაპონიამდე და რომელიც ეცდება, ამერიკას 1998 წლის წემდეგ პირველი მსოფლიო ოქრო მოუტანოს.

**უკანა ხაზი:** დუეინ ვეიდი, კრის პოლი, ჯო ჯონსონი, კირკ ჰაინრიხი
**ფორვარდები:** ლებრონ ჯეიმსი, კარმელო ენტონი, ელტონ ბრენდი, კრის ბოში, შეინ ბეტიე, ანთაუნ ჯემისონი
**ცენტრები:** ბრედ მილერი, დუაიტ ჰოვარდი

# ბერძნებმა გერმანელები გადირკეს



AFP

შავბერძენმა სოფოკლის შორტსანიტისმა გერმანელებს ჩაუტენა

**მსოფლიოს** ჩემპიონატის დაწყებამდე საათებიღა დარჩა და სამუნდიალოდ გამზადებული ნაკრებების ბანაკებიდან ახალ-ახალი ამბები ნიაღვარივით მოდის.

ყველაზე ხმაურიანი ცნობა ჩინეთიდან მოვიდა, სადაც ევროპის ჩემპიონ საბერძნეთს გაუშლია ბანაკი და ბოლო საკონტროლო მატჩში სენსაციურად ბდღვირი ადინა ნბა-ს უკაშკაშესი ვარსკვლავის დირკ ნოვიცკის გერმანიას. ამასთან, საბერძნეთის ნაკრებმა „სტანკოვიჩის თასად" წოდებული ოთხთა ტურნირიც მოიგო, ფინილში კი სწორედ გერმანელთა კედელიდან არ დატოვება ქვა-ქვაზე.

ელადელებმა 84:47 გადაუარეს ალემანებს. ბერძენთაგან ვისაც არ დაეზარა, ყველამ ამოავსო მეტოქის კალათი. ყველაზე შედეგიანები კი ვასილეიოს სპანოლიუსი (12 ქულა), ლაზაროს პაპადოპულოსი (11) და ანტონიოს ფოცისი (10) იყვნენ.

დირკ ნოვიცკის გვარი კი მატჩის ოქმში რომ არ ყოფილიყო, კაცი ვერ იფიქრებდა, თუ ჯადო გერმანელი თავისიანებს აშველებდა ქულახელს და ახმახ სხეულს. პარადოქსია მაგრამ დიდი დირკის აჩრდილი 25 წუთი დალასლასებდა მოედანზე და ამ ხნის მანძილზე გერმანელმა „მოჩვენებამ" ოდენ 9 ქულა და 5 მოხსნა მიიჩუმათა.

საბერძნეთმა ფინალამდე ჯერ ავსტრალიას 68:60 მოუგო. მესამე ადგილი კი საფრანგეთმა დაიკავა, რომელსაც ნენე ილარიოს ბრაზილია ძალიან კი გაუძალიანდა, მაგრამ ბოლოსკენ გატყდა და საბოლოოდ მატჩი 76:75 დასრულდა „მამლების" სასარგებლოდ.



ალოიზიუ „ლულა" ფერეირა ხელს ფინალისკენ იშვერს

# ფერეირამ ლულა ფინალს მიუშვირა

**ბრაზილიის** ნაკრების მთავარი მწვრთნელი ექსტრავაგანტული ალოიზიუ „ლულა" ფერეირა იმედოვნებს, რომ მისი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად გაიბრწყინებს.

„მჯერა, ჯგუფიდანაც გავალთ და მეტიც, ფინალამდე ვივლით. ჩემი ოპონენტები ფიქრობენ, თურქეთის, საბერძნეთის და ლიტვის ნაკრებებს ვერ ვაჯობებთ, მაგრამ მინდა ვუთხრა მათ, რომ დამშვიდდნენ და ჩვენი ლამაზი და რაც მთავარია შედეგიანი თამაშით ისიამოვნონ" — ამბობს ალუიზიო „ლულა" ფარეირა.

ისე, „ლულა" ფერეირა ძაან ოპტიმისტი ვინმეა, რაკი ნბა-ში ფეხმოკიდებული დენვერელი ნენე ილარიოს ყოლის მიუხედვად ბრაზილიამ საშინლად ითამაშა ჩინეთთან და 74:86 წააგო. თანაც ჩინელებს არ ჰყავდათ მისი უვარსკვლავესობა იაო მინი.

„ეს წაგება არ მაშფოთებს. პირიქით, ვიცი რა უნდა გამოვასწორო ამ ორ-სამ დღეში. ჩვენ გვყავს მობილური, ფიზიკურად ძლიერი, გამოცდილი და ბურთის დამჭერი გუნდი" — ჯიუტად აცხადებს ფერეირა.

მწვრთნელს ეთანხმება ბრაზილიელთა უგამოცდილესი მქუღე გუარდ მარსელინიო: „ბოლო მატჩებში ძალიან კარგ ევროპულ და აზიურ გუნდებს ვეთამაშეთ. დაცვაში ხარვეზი უამრავი გვქონდა, შეტევაში კი არაგვიშავდა. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს საკონტროლო მატჩებია და თავს არ ვიკლავთ. ჩვენი ნამდვილი სახე მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოჩნდება. აი, ნახავთ, ფინალში გავალთ, რაც შეიძლება სხვებმა სენსაციად ჩათვალონ, ჩვენთვის კი ეს უბრალო ამბავი იქნება".

# ვუკონას ქატარული არ შეერგო

„**ეს ამბავი** ძალიან არასასიამოვნო სიურპრიზი იყო. ფიქრებით უკვე მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიყავი, მაგრამ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ნაკრებს მიღმა დამტოვეს" — ძალიან გაბრაზებული იყო ახალი ზელანდიის 24 წლის ფორვარდი მიკა ვუკონა.

ფიჯიში დაბადებულ-გაზრდილი, მერე კი ზელანდიურ ოკლენდში დავაჟკაცებული ვუკონა „თოლ ბლექსს" ყატარში ახლდა ორმატჩა ტურნეზე, ბოლო მატჩში კი ახალი ზელანდიის პროვინციების ნაკრებთან მოედანზე 11 წუთი დაჰყო და 4 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი გაუხერხა თავისიანებს. კაცმა რომ თქვას, 11 წუთში ვუკონა მეტს ვერც მოახერხებდა.



მიკა ვუკონა

„არ მესმის, რატომ ამომაგდეს სამსოფლიოსჩემპიონატო შემადგენლობიდან. ვფიქრობ ყველაფერი გავაკეთე რაც შემეძლო. ვიმედოვნებ, ახალი ზელანდია უჩემოდ მიაღწევს ღირსეულ შედეგს — ჩემი არყოფნა არ დაეტყობა" — განაცხადა ვუკონამ.

**გაჩო სვანიძე**

# ზაზას გზა

## A დივიზიონი და პლეი ოფი

**ცოტაც და საქართველოს საკალათბურთო ნაკრები მორიგ ევროსაკვალიფიკაციო ბრძოლებში ჩაებმება. მიზანი ძველი და უცვლელია — ქვედა, B დივიზიონიდან ელიტარულ A დივიზიონში ანაცვლება. ეს მისია ქართველთა კანადელი მწვრთნელის, გორდონ ჰერბერტის სამწყსოსთვის შესრულებადი უნდა იყოს, მით უმეტეს, ჩვენი ნაკრების შემადგენლობას თვალს თუ გადავავლებთ. ამ შემადგენლობაში ერთ-ერთი და, ალბათ, უმთავრესი ფიგურა „ატლანტა ჰოუქსის“ ცენტრი ზაზა ფაჩულიაა, ვისაც ნაკრების უნგრეთში, მოსამზადებელ ეტაპზე გამგზავრების წინ გავესაუბრეთ**



**— როგორ მიდის ნაკრების მზადების პროცესი?**

— 10 დღეა, რაც შევიკრიბეთ და ამ ხნის კვალობაზე ყველაფერი ნორმალურადაა. სამწუხაროდ, რთულ პირობებში გვიწევს ვარჯიში, მაგრამ რა ვქნათ, ფედერაციას სხვა შესაძლებლობა არა აქვს. მიუხედავად აუტანელი სიცხისა, ყველა დიდი მონდომებით ვარჯიშობს და ნელ-ნელა წინ მივიწევთ. საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამე ცოტა დრო რჩება, მაგრამ ოპტიმალურ ფორმაში შესვლას მაინც მოვახერხებთ.

**— ყველაზე მეტად რისი დახვეწა გჭირდებათ?**

—პირველ რიგში, ყველას ფიზიკურად გვაქვს მოსამატებელი, თუმც ეს დროის ამბავია. უფრო მნიშვნელოვანია შეთამაშების საკითხი. ნაკრების წევრებს ერთად ყოფნა იშვიათად გვიწევს და ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ შესათამაშებლად.

**— საკუთარ თავზე რას იტყვი?**

— ეროვნულ ნაკრებში თამაში ჩემს პროგრამაში ყოველთვის ზის. ამიტომაც, სანამ ეროვნულ გუნდში ჩამოვიდოდი, მსუბუქად ვვარჯიშობდი. სხვაა ინდივიდუალური ვარჯიში და სულ სხვა, როცა გუნდთან ერთად ემზადები. ამიტომაც ნაკრებს ოპტიმალურ ფორმაში ვერ შევუერთდი. რამდენიმე დღე მჭირდება, რომ მწყობრში ჩავდგე. ალბათ, უნგრეთში ფორმას სრულად ალვიდგენ.

**— ტაირონ ელისი როგორ მოგწონს, ღირსეულად შეცვლის შემონდ უილიამსს?**

— ელისი კარგი გამთამაშებელია, მაგრამ უფრო სასიამოვნო ისაა, რომ იგი ძალიან მონდომებულია. ტაირონი მთელი სულით და გულით ვარჯიშობს, ძალ-ღონეს არ ზოგავს. თუ ასეთი რიტმი ბოლომდე შეინარჩუნა, უდიდეს დახმარებას გაგვიწევს. ძალიან ძნელია, უცხოელს შენი ქვეყნის ღირსების ბოლომდე დაცვა მოსთხოვო. ელისს კი ამის თქმა არ სჭირდება, ის შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს.

**— შარშან A დივიზიონის საგზური ვერ მოვიპოვეთ. ახლა რას ვიზამთ?**

— წინასწრ ლაპარაკი არასწორად მიმაჩნია. ჩვენ მხოლოდ ერთი მიზანი გვაქვს და ამის მისაღწევად არაფერი არ უნდა დავიშუროთ.

**— არდაშურება ერთია და შესაძლებლობა მეორე...**

— რესურსი საკმარისზე მეტი გვაქვს. შარშან ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა A დივიზიონამდე, მას მერე კი მნიშვნელოვნად გავძლიერდით. ვახტანგ ნაცვლიშვილი, მანუჩარ მარკოიშვილი და ვიქტორ სანიკიძე ძალიან დიდი ძალაა ჩვენი ნაკრებისთვის. ამათი შემატებით უფრო უკეთეს შედეგს რომ მივაღწევთ, ამას თქმა არ უნდა. თანაც სხვა მოთამაშეებმაც მოუმატეს. ჩემი ბოლო და იმის წინა სეზონი თავად შეადარეთ; ვლადიმერ ბოისა. იტალიის ჩემპიონატში გადავიდა და გასული სეზონი უმაღლესი დონის კალათბურთელების გვერდში გაატარა; ერთი სიტყვით, ეს ნაკრები შარშანდელთან შედარებით გაცილებით ძლიერია და, ჩემი აზრით, ყველა თამაშის მოგება შეგვიძლია.

**— ატლანტურ ამბებზეც გკითხავ: შენს პოზიციაზე „ჰოუქსმა“ გამოცდილი ლორენც რაიტი აიყვანა და, ალბათ, კონკურენცია გამძაფრდება...**

— რაიტი ჩემი შემცვლელი იქნება და ეს ერთის მხრივ კარგია. უფრო მოტივირებული ვიქნები, რადგან რაიტი ძალიან გამოცდილი მოთამაშეა და მოდუნება, შესაძლოა, ძვირად დამიჯდეს. ვფიქრობ, წლეულს პლეი ოფში გასვლისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ და ეგებ მოვახერხოთ კიდეც იქამდე მისვლა.

**ირაკლი ბერტაია**

# ქართული კალათბურთის ერთი მიმართულება

## დიდია თუ პატარა, ყველა ელიტისკენ მიიწევს

**საქართველო 64:60 ფინეთი**

*16:12 16:7 16:21 16:20*

**საქართველო:** ძიძიგური (12), მაისურაძე (2), მეტრეველი (22), ჩაჩიბაია (2), შენგელია (16); ბარბაქაძე (6), ნანიტაშვილი (4), ჯგერენაია




**ესეც ასე** — საქართველოს კადეტთა ნაკრები ნახევარფინალშია. ტალინში მიმდინარე ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის დასკვნით ტურში ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის შეგირდებმა ფინელი თანატოლები დაამარცხეს, პლეი ოფში გავიდნენ და A დივიზიონს ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ.

შეგახსენებთ, რომ ერთი თვის წინ ახალგაზრდულმა ნაკრებმა სწორედ ფინეთთან ნახევარფინალურ ჯახში მოიპოვა A დივიზიონის საგზური, კადეტებმა კი სუომელები პლეი ოფამდე ჩამოიტოვეს.

გუშინდელი მატჩი ქართველების სრული უპირატესობით წარიმართა. მართალია, საბოლოო ანგარიში თანაბარ ფინალზე მიანიშნებს, მაგრამ არც ასე იყო საქმე. ქართველები სირენამდე 40 წამით ადრე 10 ქულას იგებდნენ და ფინელებმაც ტყუპი სამქულიანით თამაშს თითქოს ინტრიგა შესძინეს, მაგრამ... ტაქტიკურმა ჯარიმებმა სკანდინაველებს არ გაუმართლათ. ალეკო ძიძიგურმა ერთი-ორი კი ააცილა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, საჯარიმოს ხაზიდან ქართველებს უმნიშვნელოვანესი ქულები მიუთვალა.

ძიძიგურმა ქართველები არანაკლებ ახეირა დაცვაში. თანამედროვე კალათბურთში თითებზე ჩამოსათვლელადაა შემთხვევები, როცა ერთი მოთამაშის ჩაჭრილი ბურთების ოდენობამ ორნიშნა რიცხვს უწია. მაშინ, როცა მატჩის არც ერთ მოთამაშეს 2 ჩაჭრაზე მეტი არ გაეხერხებინა, ალეკო ძიძიგურმა ფინელებს 10(!) ბურთი ასწაპნა და, ალბათ, ტალინში შეკრებილ სკაუტთა რაზმის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია.

ერთი საინტერესო მომენტიც: ქართველებმა ფინელებს ოთხივე ათწუთეულში 16-16 ქულა „მიართვეს“, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ნახევარფინალის საგზური საჩვენოდ გამოდნობილიყო.

ისე, ჩერქეზიშვილის გუნდს ერთი სერიოზული კოზირი ჰქონდა. ფინელებს არც ერთი კალათბურთელი არ ჰყავდათ 196 სანტიმეტრზე მაღალი, და ეს მაშინ, როცა ქართველთა რაზმში 6 ორმეტრიანი და უფრო მაღალი მოთამაშე ირიცხება.

ალბათ ამიტომაც იყო, ჩვენმა უმაღლესმა კალათბურთელმა, 210-სანტიმეტრიანმა ვაჟა მეტრეველმა რომ გაილაღა. საბოლოოდ მან 22 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა. ფინელთა სამწამიანში ის მეფესავით იყო გაბატონებული.

ფინელებს შანსი თითქმის არ ჰქონდათ, ქართველები ნიადაგ ლიდერობდნენ და დამაჯერებლადაც. ბოლო წამების ნერვიულობა კი აინუნშიც არაა ჩასაგდები, რადგან ქართველებს უკვე განაღდებული ჰქონდათ გამარჯვება და ფინელებს გაფაფხურების საშუალება მისცეს.

მაშ ასე, ქართველი კადეტებიც A დივიზიონის ზღვარზე არიან და ხვალ, პირველ ჯგუფურ ეტაპზე უკვე დამარცხებულ ავსტრიელებთან ნახევარფინალურ ჯახში ახალგაზრდების შედეგის გამეორებას შეეცდებიან.

**ირაკლი ბერტაია**






# დაგვასვენეთ!

## მოკრივეებიც ადამიანები ყოფილან

**გასულ შაბათს** რუს ოლეგ მასკაევთან წაგებულმა და თავისი ტიტულის (WBC ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში) დამკარგავმა ჰასიმ რაჰმანმა გადაწყვიტა, წლეულს თავისი ნაგვემი სხეული დაასვენოს და თებერვლამდე მოერიდოს რინგს. მისი პრომოუტერი ბობ არუმი ასეთ სვლას ფინანსურ მიზნებს მიაწერს, მოკრივემ ხელსაყრელ წინადადებას უნდა მოუცადოს და ყველაზე ხელი არ უნდა გაისვაროსო: „ჰასიმი ჯერაც რჩება უმაღლესი კვალიფიკაციის მოკრივედ, რომელსაც შეუძლია „შოუთაიმისა“ და „ეიჩბიოუს“ სუპერბრძოლებში მონაწილეობა. მას ერთი ბრძოლა დაახლოებით ნახევარ მილიონად მაინც უნდა ეღირდეს. სულაც არ ვაპირებთ მეორე ეშელონის ვაი-მოკრივეებთან ბლარძუნს. პირიქით, ჰასიმი ან მსოფლიოს ჩემპიონს უნდა შეებრძოლოს, ან ჩემპიონობის პრეტენდენტს.“

არუმმა ისიც თქვა, რომ რაჰიმის მძლეველ მასკაევთან ჯახიც კი ვერ გამოდგა ფინანსურად ისე მომგებიანი, როგორიც მოსალოდნელი იყო. ტელეტრანსლირების უფლებების გაყიდვამ 100 ათასი ძლივს შეუტანა, ხოლო თავად მოკრივის ბანაკმა ბარე 4 მილიონი იზარალა, როცა უარი თქვა IBF-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონ ვლადიმირ კოჩკოსთან კრივზე და მასკაევს შეერკინა.

დასვენება გვჭირდებაო, ეს ფრაზა მასკაევის ბანაკიდანაც მოისმის. ფულს დახარბებულ პრომოუტერებს სურთ, რაც შეიძლება, მალე დააჯახონ ერთმანეთს კლიჩკო და მასკაევი, ასე ნოემბრისთვის მაინც. მაგრამ ამის გამგონე მასკაევის მწვრთნელი ვიქტორ ვალე ხელებს ასავსავებს: „საქმოსნებს დაავიწყდათ, რომ ოლეგი ადამიანია და არა მანქანა. ნოემბერი ძალიან ადრეა. თუნდაც მისმა პრომოუტერმა დენის რაპოპორტმა დააძალოს ამ ბრძოლისთვის მზადების დაწყება, მე ოლეგს ვეტყვი, რომ თავი შეიკავოს. რაჰმანთან შეხვედრამდე ჩვენ არ გაგვიმჟღავნებია, მაგრამ მასკაევს ტრავა ჰქონდა, ზურგი სტკიოდა, მერე კი ხელიც დაიშავა. მე მისგან ფულის გამოწოვა კი არ მინდა, ის ჩემთვის შვილივითაა და ვურჩევ, მხოლოდ მაშინ გავიდეს რინგზე, როცა სრულიად გამოჯანმრთელებული და დასვენებული იქნება.“

**კოტე ყორშია**

# ენდი: ენდიმ ფედერერი დასჯა

**კაცები. მასტერსი**
**ცინცინატი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 2 450 000 $**

**მეორე წრე**

**ენდი მიურეი** (ბრიტანეთი) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 7:5 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ჰუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:4 6:3; **ივან ლიუბიჩიჩი** (4, ხორვატია) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:4 7:6; **ხუან-კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — ჯეიმს ბლეიკი (6, აშშ) 6:2 6:4; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — დავიდ ნალბანდიანი (3, არგენტინა) 6:4 6:2; **ტომი რობრედო** (7, ესპანეთი) — მაქსიმ მირნი (ბელარუსი) 6:4 6:4; **მარკოს ბაღდატისი** (8, კვიპროსი) — გაელ მონფილსი (საფრანგეთი) 7:6 2:6 6:1; **ენდი როდიკი** (9, აშშ) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) 6:4 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (13, ჩილე) — მარდი ფიში (აშშ) 7:5 7:5; **ტომი ჰაასი** (14, გერმანია) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:3 4:6 6:4; **რობი ჯინეპრი** (15, აშშ) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:3 6:4; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:3 2:6 7:6; **დავიდ ფერერი** (10, ესპანეთი) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 4:6 7:6 6:0; **ფლორინ სერა** (საფრანგეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) 6:4 6:4; **ხუან-იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — ვინსენ სპადეა (აშშ) 6:7 7:5 6:2; **დომინიკ ჰრბატი** (16, სლოვაკეთი) — დავიდე სანგინეტი (იტალია) 6:3 6:2

**ქალები**
**მონრეალი. კანადა. ჰარდი**
**საპრიზო 1 340 000 $**

**მეორე წრე**

**სტეფანი დიუბუა** (კანადა) — კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) 1:6 3:2 (უარი); **ანა ჩაკვეტაძე** (რუსეთი) — ნადეჟდა პეტროვა (3, რუსეთი) 6:1 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (4, რუსეთი) — მარტა დომახოვსკა (პოლონეთი) 6:1 6:3; **შაჰარ პიერი** (ისრაელი) — ანასტასია მისკინა (6, რუსეთი) 7:6 5:7 6:4; **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი) — ფრანჩესკა შიავონე (8, იტალია) 6:1 6:4; **დინარა საფინა** (9, რუსეთი) — სარა ბლექი (ზიმბაბვე) 6:2 6:2; **შინაი პერი** (აშშ) — ანა-ლენა გრონეფელდი (10, გერმანია) 7:6 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (11, სლოვაკეთი) — ჯამეა ჯექსონი (აშშ) 7:6 6:2; **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი) — ფლავია პენეტა (12, იტალია) 7:5 2:1 (უარი); **ანა ივანოვიჩი** (13, სერბეთი) — ჟი ჟენგი (ჩინეთი) 6:4 6:7 6:2; **კატარინა სრებოტნიკი** (14, სლოვენია) — აიბერტა ბიანტი (იტალია) 6:3 6:4; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — მარია კირილენკო (15, რუსეთი) 6:4 6:4; **აი სუგამა** (იაპონია) — ანაბელ მედინა გარიგუესი (17, ესპანეთი) 6:4 6:2; **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — მარი-ივ პელეტიე (კანადა) 3:6 6:4 6:4

**სრული** ორი წელიწადი როჯერ ფედერერი ჩრდილოამერიკულ ჰარდზე ჩოგანდაუხრელი თამაშობდა და იგებდა და იგებდა — მიჯრით 55 მეტოქეს გამოუყვანა წირვა, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი დასასრული და უბადლო შვეიცარიელის ფანტასტიკური სერიაც დასრულდა.

2004 წლის ცინცინატობის პირველ წრეში როჯერს სლოვაკმა დომინიკ ჰრბატიმ აჯობა და აი, ისევ ცინცინატის მასტერსი, ოღონდაც, უკვე მეორე წრე და ფედერერი 19 წლის ყოჩაღმა ბრიტანელმა ენდი მიურეიმ დაჩოგნა.

წაგებაც არის და წაგებაც — როჯერი ამ მატჩში მხიარული ნამდვილად არა და უშანსოდ კი იყო. ასე უიმედოდ მას, უკვე ძალიან, ძალიან დიდი ხანია, არ წაუგია — მიურეიმდე მთელი 194 მატჩი ისე ჩაატარა, სეტისმოუგებლად თამაში არ დაუთმია და ეს სერიაც შეწყდა. და, არა მარტო ეს — შარშანდელი „როლან გაროსობის“, ანუ მას შემდეგ რაც რაფაელ ნადალთან ნახევარფინალში დამარცხდა, ფედერერმა 17 ტურნირი ითამაშა და ჩვიდმეტივეში ფინალს უწია. კიდევ ერთიც და როჯერი ივან ლენდლის მიერ 1981-82 წლებში დამყარებულ რეკორდს გაიმეორებდა, მაგრამ მიურეიმ არ დაანება. ისიც სათქმელია, რომ მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 67 მატჩში ეს, ფედერერის მეხუთე მარცხია და წინა ოთხ შემთხვევაში ის ნადალთან აგებდა, ანუ მიურეი გახდა ოდენ მეორე ჩოგბურთელი, ვინც წლეულს სწორუპოვარი შვეიცარიელის დაჩოგვნა მოახერხა.

19 წლის ენდი, ვინც **ATP**-ის ბოლო რეიტინგში მისი კარიერისთვის უმაღლეს, 21-ე საფეხურზე იყო და მომავალი კვირის კვასიფიკაციაში აუცილებლად შევა პირველ ოცეულში, სენსაციური გამარჯვების შემდეგ მეცხრე ცაზე დაფრინავდა, ეს ყველაფერი შოკის მომგვრელიაო, გაიძახოდა და ლამის იყო, ბოდიში მოეხადა როჯერისთვის, უკაცრავად, როგორ გავბედე და დაგამარცხეო.

სწორედაც რომ გაბედა! ფედერერთან თამაშისას მართლაც მეტი გამბედაობაა საჭირო — საკუთარ თავს ხომ უნდა გადაახტე და არც მრისხანე მეტოქის რიდი უნდა გქონდეს — სხვანაირად შვეიცარიელს ვერ მოუგებ და ერთადერთი, ვინც ბოლო ხანებში ამას აკეთებდა, ანუ როჯერს არ ეპუებოდა, ნადალი იყო. ახლა იგივე მიურეიმაც გააკეთა და იქნებ, სხვებმაც სცადონ — ასე ჩოგბურთი გაცილებით საინტერესო გახდება.

ცინცინატური მასტერსის მეორე წრის მეორე სენსაციაშიც შვეიცარიელია გარეული, ოღონდ, თუ ფედერერი დამარცხდა, სტანისლას ვავრინკამ იქით მოუგო მესამე ნომრად განთესილ არგენტინელ დავიდ ნალბანდიანს, ვინც ბოლო პერიოდში, რაღაც უჯიგროდ თამაშობს და მოახლოებულ **US OPEN**-ს ნირწამხდარი ხვდება.

სეზონის ბოლო სლემტურნირის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ცუდად თამაშობს ჯეიმს ბლეიკიც, რომელმაც, თითქმის მთელი სეზონი სტაბილურად მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ შინაური სასლემოს მოახლოებასთან ერთად აურია და როგორც წესი, საწყის ეტაპებზევე მარცხდება. ამჯერადაც ასე მოხდა და ბლეიკს ორ სეტში აუგო ანდერძი სადღაც, ისტორიის ბნელი, მტვრიან-აბლაბუდიანი თაროდან გადმოსულმა ხუან-კარლოს ფერერომ. ბოლო ორი სეზონია, „კოლო-ბიჭს“ ხეირიანი, მართლაც ალარაფერი გაუკეთებია და იქნებ, სწორედ ცინცინატში შეძლოს ამ, ერთ დროს, მართალც რომ მრისხანე ჩოგბურთელმა არეული რამსების დალაგება.

სხვა ფავორიტებს პრობლემები არ ჰქონიათ — რაფაელ ნადალმა, ივან ლიუბიჩიჩმა და ენდი როდიკმა მეტოქეებს ორ-ორ სეტში გადაურბინეს. აი, მარკოს ბაღდატისმა ცოტა კი იწვალა, მაგრამ მესამე სეტში მაინც გატეხა გაელ მონფილსის წინააღმდეგობა.

უპირველჩოგნოდ დარჩა კანადურ მონრეალში მიმდინარე ქალთა სუპერტურნირიც, ოღონდ აქ გაცილებით რთულადაა საქმე, რადგანაც პირველ ნომრად განთესილმა კიმ კლაისტერსმა მაჯის ტრავმის გამო შეყვიტა თამაში და ახლა სათუოა, შეძლებს თუ არა ფუმფულა ბელგიელი ამერიკულ სასლემოზე გასვლას.

უშუალოდ თამაშში დამარცხებულ ფავორიტებს რაც შეეხება, რუსი ნასტია მისკინა, რომელიც წინა კვირაში ევროპულ თიხაზე თამაშობდა, როგორც ჩანს, ჯერ ვერ შეეწყო ამერიკულ მაგარსაფარს და სწრაფად პროგრესირებად ებრაელ შაჰარ პირთან დამარცხდა. თუ მისკინამ სამი სეტი მაინც იბრძოლა, მეორე რუსმა, ჯანიან-გაბარიტიანმა, მაგრამ ბოლო ხანს საშინლად მოთამაშე ნადია პეტროვამ ესეც ვერ შეძლო, მორიგი უსახური მატჩი ჩაატარა და თავის ქართულგვარიან თანამემამულეს ანა ჩაკვეტაძეს ოდენ ხუთი გეიმი აართვა.




**გია მუჯირი**



# დოპინგ-რეაქციის ჯაჭვები

## ლენდისის სიმამრმა თავი მოიკლა, ფონაკი დაიშალა



**ფლოიდ ლენდისის** თავზე ერთი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, აი, ბედისწერამ კი თავისი მძიმე ბორბლებით ისე გადაუარა ველომრბოლს, საკვირველი ისაა, ადამიანის სახეს და ფორმას როგორ ინარჩუნებს.

ამ ზაფხულს უპრესტიჟულესი „ტურ დე ფრანსის“ მომგებ ლენდისს ცხოვრების უდიდესი გამარჯვებით ტკბობა სულ რამდენიმე დღით დასცალდა, შემდეგ კი დოპინგ-ტესტმა სისხლში ტესტოსტერონის მაღალი შემცველობა აღმოუჩინა, რაც განმეორებითმა ტესტმაც დაადასტურა და ასე გამოვიდა, რომ ჩემპიონი სულაც არ ყოფილა ჩემპიონი. ამერიკელ მრბოლს ტიტული ჩამოართვეს და „ტურზე“ მეორე ადგილის დამჭერ ესპანელ ოსკარ პერეირო სიოს გადაულოცეს. ხოლო ლენდისი ახლა სანქციას ელის, რაც 2-წლიანი დისკვალიფიკაციით უნდა გამოისახოს.

ეს ყველაფერი აქამდეც მოგახსენეთ, მაგრამ ლენდისის ტრაგედია მხოლოდ მისი სპორტულ ცხოვრებით როდი დამთავრდა. ჩემპიონის ტიტულის ჩამორთმევა მხოლოდ დასაწყისი იყო...

კალიფორნიის შტატის ქალაქ სან დიეგოში, ავტოსადგომზე საკუთარ მანქანაში მკვდარი იპოვეს ლენდისის სიმამრი დევიდ უიტი. ადგილობრივი პოლიცია თითქმის დარწმუნებულია, რომ უიტმა თავი მოიკლა.

რა კავშირი უნდა ჰქონდეს სიმამრს ლენდისის დოპინგ-სკანდალთან? ოჯახის წევრები და ახლობლები ამბობენ, რომ 57 წლის დევიდ უიტის თვითმკვლელობა შესაძლოა, დაკავშირებული იყოს მის ახალ, სარესტორნო ბიზნესთანო, მაგრამ ხალხს რას გამოაპარებ?

ველოსპორტში მოტრიალე ხალხმა კი იცის, რომ უიტი მანამდე აქტიურად იყო ჩართული ლენდისის ველოცხოვრებაში და კარგა ხნის განმავლობაში მისი პირადი მწვრთნელიც გახლდათ. ჯეელობაში სამთო ველოსპორტით გატაცებულ ფლოიდს სწორედ უაიტმა ურჩია მთებიდან ჩამოსულიყო და თავისი ველო დიდ გზებზე გაეყვანა. უიტი თანამშრომლობდა ლენდისის გუნდ „ფონაკთანაც“. მოკლედ, კვალს ისევ ველოსიპედთან მივყავართ.

მაგრამ ლენდისის გარშემო ატეხილი აურზაური ამითაც არ ჩამცხრალა. ტესტოსტერონიანმა ერთი ციცქნა კოლბამ ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია და მისი გუნდიც ააფეთქა. „ფონაკის“ პატრონმა ენდი რიხსმა ისმინა, ისმინა და ეს ამბები და მერე საგანგებო პრესკონფერენციაზე თავადაც თქვა სიტყვა — „როგორც ველორბოლის ძველ თაყვანისმცემელს, გული მტკივა, რომ სპორტის ეს სახეობა უკვე ხშირად ასოცირდება დოპინგთან. ძალიან მწყინს, მოვლენები ასე რომ განვითარდა და მე მომიხდა გადაწყვეტილების მიღება — ჩემი გუნდი დაშლილია.“

**კოტე ყორშია**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

ეროვნული ბიბლიოთეკა